ალია

N125/3055/ 28 აგვისტო 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

## ალეკო ელისაშვილმა „სითი პარკს“ ორკვირიანი ვადა მისცა

რას უყვება საკრებულოს წევრი „ალიას“

# რატომ ჩავიდა მიხეილ სააკაშვილი ანკარაში და ვისთან გამართავს კონსპირაციულ შეხვედრას 29 აგვისტოს?!

როგორ მოიქცევა ღარიბაშვილი, თუკი ექსპრეზიდენტს გადაეყრება?



# ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიანდება

## კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომელი გია ბარამიძის, ზურაბ ადეიშვილის და კობა სუბელიანის მიჩქმალულ საქმეებზე ალაპარაკდა



## ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა მანამდე მომხდარ დიდ დანაშაულს უკავშირდება?





# „ენ-დი-აი“-ს კვლევების ფარული მიზანი

**„ენდიაიმ“ პოლიტიკური კვლევის რეიტინგები გამოაქვეყნა. გამოკითხვის მიხედვით, მოწონების რეიტინგში პირველ ადგილზე თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიაა, მეორეზე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მესამე ადგილს კი პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი იკავებს.**

**„ალიას“ ესაუბრება „საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ დირექტორი კახა კახიშვილი.**

– მე პირადად „ენდიაის“ მიერ ჩატარებულ კვლევებს აბსოლუტურად არ ვენდობი, წლების მანძილზე ლუის ნავაროს მოღვაწეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ „ენდიაის“ კვლევებმა საერთოდ დაკარგა ნდობა და ფაქტობრივად, არც პოლიტიკოსები და არც მოსახლეობის უმრავლესობა აღარ ენდობა მათ. ამ კვლევებს მე ვუყურებ როგორც ინსტრუმენტს, თუ რის თქმა სურს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და როგორ ცდილობს, ჩამოაყალიბოს ამ პოლიტიკურმა პარტიამ საზოგადოებაში აზრი. ამ კვლევებში მე გამოვყოფდი რამდენიმე ასპექტს: 1. ხაზს უსვამენ, რომ ძლიერდება სხვადასხვა პოლიტიკური ცენტრები, ირაკლი ალასანიასა და გიორგი მარგველაშვილის მეთაურობით, ფაქტობრივად, ალასანიას მიმართ მუდმივად ხდებოდა აპელირება, რომ ის უფრო მაღალრეიტინგულია, ვიდრე ქვეყნის პირველი პირები, ჩვენ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოდის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, ამიტომაც დღეს აყალიბებენ აზრს, რომ აგერ, ბატონო, 2016 წლის არჩევნებამდე გაძლიერდება ირაკლი ალასანია, რომელსაც აქვს მზარდი რეიტინგი, რეიტინგი ემატება გიორგი მარგველაშვილსაც, როგორც უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცენტრს, აქედან გამომდინარე, 2016 წლამდე ვისაც გინდათ რაღაც აქტიურობა პოლიტიკაში, შეგიძლიათ, გაერთიანდეთ ამ ორი ცენტრის გარშემო. 2. „ენდიაი“ ასევე აღნიშნავს, როდესაც ფიქრობდით, რომ ივანიშვილის მაღალი რეიტინგი უალტერნატივოა, მისი რეიტინგის შიშით არ ქმნიდით სხვა პოლიტიკურ ცენტრს, დღეს ასე აღარ არის, ამავდროულად, ორი ახალგაზრდა პოლიტიკოსის რეიტინგი იზრდება და შეგიძლიათ, მათ გარშემო გაერთიანდეთო. „ენდიაის“ მთავარი გზავნილია, – ნუ გეშინიათ ივანიშვილის, რადგან მისი რეიტინგი ყოველდღიურად ეცემა.

**— ერთია, რომ „ენდიაის“ სურს, წარმოაჩინოს ალასანია და მარგველაშვილი მაღალრეიტინგულ პოლიტიკოსებად, და მეორეა, რამდენად დაიჯერებს საზოგადოება ამას?**

– ეს კვლევა არ არის გათვლილი მასაზე, უფრო გათვლილია პოლიტიკურად აქტიურ ადამიანზე. იმიტომ, რომ აქ სწორედ პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებს მოუწოდებენ, რომ გაერთიანდნენ ახალი პოლიტიკური ცენტრის გარშემო. „ენდიაის“ კვლევები იმდენად ემთხვევა „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, რომ აგერ უკვე თეა წულუკიანსაც კი უჩენენ ამბიციას, რომ ის საკმაოდ პოპულარულია მოსახლეობაში და მასაც შეუძლია, რომ ჰქონდეს დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშის ამბიცია. შეხედეთ, – წულუკიანი და ალასანია, ეს ხომ იყო ერთი პოლიტიკური პარტია. აქედან გამომდინარე მიდის უკვე აზრის ფორმირება იმ კუთხით, რომ ალასანია, როგორც დამოუკიდებელი ლიდერი, ქმნის პოლიტიკურ ცენტრს. წულუკიანს, როგორც ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ პოლიტიკურ ფიგურას, შეუძლია ისევ ალასანიასთან ერთად იყოს. ნარმანიასაც გადასწვდნენ და მასაც უყალიბებენ ნელ-ნელა განწყობას, რომ ის არ იყოს ანგარიშვალდებული ან ბიძინა ივანიშვილის, ან მისი პოლიტიკური თანამებრძოლების მიმართ, ვინაიდან „ენდიაის“ თუ დაუჯერებთ, ნარმანიას აქვს საკმაოდ მაღალი რეიტინგი საზოგადოებაში და შეუძლია მას, დამოუკიდებლად იმუშაოს. ამიტომაც ხაზგასმით აღნიშნავენ კვლევაში, რომ იმ პერსონის რეიტინგი, რომელმაც „ქართული ოცნება“ გააერთიანა, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა, ნელ-ნელა ეცემა და დრო არის იფიქროს უფრო რეიტინგული ლიდერების გარშემო გაერთიანებაზეო.

**— რა იქნება შედეგი, ამ ჩანაფიქრს შესრულება უწერია? ანუ გამოიწვევს პოლიტიკურ ამბიციებს ამ ადამიანებში, თუნდაც გაყალბებული კვლევების შედეგებით?**

– როგორ არ გამოიწვევს... დღევანდელი პოლიტიკოსები სარკის წინ დგებიან და საკუთარი თავის კმაყოფილებით აღივსებიან ხოლმე. წარმოიდგინეთ ახლა ამ პოლიტიკოსებს როცა ეუბნები, რომ საკმაოდ პოპულარულია საზოგადოებაში, ბუნებრივია, ეს აღძრავს მათში ამბიციებს, რომ გახდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშეები. ამას ისიც შეუწყობს ხელს, რომ თვითონაც იციან, ხელისუფლებაში დიდხანს ველარ გაჩერდებიან სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ამიტომაც შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა, ვიდრე მას თანამდებობიდან გაათავისუფლებენ, დაასწროს მოვლენებს და თვითონ მიიღოს გუნდიდან წასვლის გადაწყვეტილება. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოდის 2016 წელი. ყველამ კარგად იცის, რომ ასეთი კონფიგურაცია და ასეთი პოპულარობა „ქართულ ოცნებას“ აღარ ექნება, რადგან ბევრი სოციალური პრობლემაა ქვეყანაში, რომელიც მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, მაგრამ ეს რეაგირება არ ჩანს.

**— ამერიკის ელჩს, ნორლანდს რაღა უნდა, გვიმტკიცებს, „ენდიაი“ ერთ-ერთი ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციააო.**

– რიჩარდ ნორლანდი არის დიპლომატი, „ენდიაი“ არის ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია, შესაძლოა, ჩვენზე უკეთ იცის ბატონმა ნორლანდმა, რა ხდება „ენდიაის“ საქართველოს წარმომადგენლობაში და რა პრობლემები შექმნა ბატონმა ლუის ნავარომ, მაგრამ იგივე ნორლანდის ინტერესშია, ბოლომდე არ გააქარწყლოს და არ მოახდინოს „ენდიაის“ დისკრედიტაცია. ეს ორგანიზაცია ძალიან ბევრ კარგ საქმესაც აკეთებს, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში ლუის ნავარომ შეულახა იმიჯი მთელ ორგანიზაციას და აყალბებდა სისტემატურად კვლევებს, ამისთვის „ენდიაის“ მთლიან ოფისზე, ბუნებრივია, ვერ ვისაუბრებთ კრიტიკულად. ეხლა უკვე ლუის ნავარო საქართველოდან წასულია, მან ორგანიზაციაც დატოვა და, შესაბამისად, ნორლანდი მაქსიმალურად შეეცდება, მხარი დაუჭიროს „ენდიაის“ იმის მოლოდინით, რომ ვითარება გამოსწორდება.



**„რიჩარდ ნორლანდი არის დიპლომატი, „ენდიაი“ არის ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია, შესაძლოა ჩვენზე უკეთ იცის ბატონმა ნორლანდმა, რა ხდება „ენდიაის“ საქართველოს წარმომადგენლობაში და რა პრობლემები შექმნა ბატონმა ლუის ნავარომ, მაგრამ იგივე ნორლანდის ინტერესშია, ბოლომდე არ გააქარწყლოს და არ მოახდინოს „ენდიაის“ დისკრედიტაცია“**

**— არის რეალობასთან ახლოს კვლევის შედეგების ის ნაწილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის მოწონების მაჩვენებელს ეხება?**

– რეალობა ნამდვილად ასეთია, დაიკლო ბიძინა ივანიშვილის რეიტინგმა, საზოგადოებას აქვს როგორც ბიძინა ივანიშვილის, ასევე ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ იმედგაცრუება, ეს არის მძიმე სოციალური მდგომარეობის ბრალი, ვინაიდან „ქართული ოცნებაა“ ხელისუფლებაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა და შემდეგ გადააბარა ირაკლი ღარიბაშვილს, სოციალური კუთხით ვითარება არ არის გამოსწორებული, ეს პირდაპირ აისახება ნდობის ხარისხზე საზოგადოების მხრიდან. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს კვლევა სწორია, სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ივანიშვილისა და ღარიბაშვილის რეიტინგის მსგავსად, დაიკლებდა მინისტრთა კაბინეტის წევრთა რეიტინგიც, თუ გადავხედავთ იუსტიციის სამინისტროს ვითარებას, ან ჯარს, ვერ ვიტყვი, რომ ან ერთი ან მეორე უწყების მომსახურებით მაინცდამაინც აღფრთოვანებულია საზოგადოება, ან ჯარისკაცები არიან აღფრთოვანებული თავიანთი მინისტრის საქმიანობით. ყველა თანაბრად მუშაობს „ქართულ ოცნებაში“, აქედან გამომდინარე, ცოტა გაუგებარია, ბიძინა ივანიშვილისა და ღარიბაშვილის რეიტინგი კლებულობს და ამავდროულად, იმ სამინისტროების ხელმძღვანელების რეიტინგი მატულობს, რომელთა მუშაობის გამოც ღარიბაშვილის რეიტინგი კლებულობს.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ირაკლი ოქრუაშვილმა თანასოფლელები სასიკვდილოდ გაიმეტა



თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ორი თანასოფლელი, „ქართული ოცნების“ წევრი სასიკვდილოდ გაიმეტა. კვირას, დაახლოებით 22:00 საათზე, ოქრუაშვილი დაცვის ორ თანამშრომელთან ერთად ავტომანქანით „ოცნების“ მხარდამჭერებს გაეკიდა. ის ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდა, დაზარალებულების ავტომობილს 3 ტყვია აქვს მოხვედრილი, თუმცა, როგორც ირკვევა, ოქრუაშვილმა „ოცნების“ მხარდამჭერების მიმართულებით ორი მჭიდი მთლიანად დაცალა. მოგვიანებით კი სოფლის ბოლოში დაიჭირა და ფიზიკურად გაუსწორდა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დაცვის თანამშრომლების დახმარებით თანასოფლელებს კონდახებით სცემდა.

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით დაზარალებულები ღიად საუბარს ერიდებიან. აღნიშნულ ფაქტი გორის საკრებულოს „ოცნების“ მაჟორიტარმა დეპუტატმა თემო გიგუაშვილმა დაადასტურა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სავიზო რეჟიმის „რეფორმას“ არავითარი კავშირი არა აქვს ევროპულ მოთხოვნებთან“



კახა ბენდუქიძე თავის „ფეისბუკის“ გვერდზე სავიზო რეჟიმის რეფორმას ეხმაურება.

„გუშინ გრძლად დავწერე სავიზო რეჟიმის ცვლილების შესახებ, როგორც ჩანს, ზედმეტად ვრცლად, და ზოგმა ვერ გაიგო.

- ყველა ქვეყანა, რომელიც სიიდან ამოიღეს, არის საქართველოზე ბევრად მდიდარი და იქიდან არალეგალური მუშახელის შემოსვლის საფრთხე არ არსებობს. მაგალითად, ჩილეს მოქალაქეს სამჯერ მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეს.
- სიაში არასოდეს არ ყოფილა (და ამიტომ ვერ ამოიღებდნენ) ინდოეთი და ჩინეთი.
- უფრო დიდი მავნებლობაა საზღვარზე ვიზის გაცემის გაუქმება.
- კიდევ უფრო დიდი მავნებლობაა საქართველოში ყოფნის ვადის შეზღუდვა, ეს ეხება ყველას – ევროპელებს, ამერიკელებს, იქაური პასპორტის მქონე ჩვენს თანამემამულეებს;
- და კიდევ ერთი ტყუილი – ამ „რეფორმას“ არავითარი კავშირი არა აქვს ევროპულ მოთხოვნებთან“. – წერს კახა ბენდუქიძე. (ნიუპოსტი)




**ფიქრობთ, რატომ აგრძელებს რეალობას აცდენილი რეიტინგების ზარ-ზეიმით მოწოდებას?**

– ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ეს არის ამერიკის საერთაშორისო ინსტიტუტი, რომლის დამფუძნებლებს შორისაც არიან სააკაშვილის მეგობრები. ეს ინსტიტუტი კარგა ხანია ფუნქციონირებს და მუდმივად ცდილობდა პროცესებზე ზეგავლენის მოხდენას. 2003 წელი მახსოვს, როცა პირდაპირ ერეოდნენ პროცესებში, არათუ მხოლოდ კვლევებს ატარებდნენ. ვინ აუკრძალავს „ენდიაის“ კვლევების ჩატარებას? ვერავინ. ვერც ვერავინ დაავალებს, რომ ამ კომპანიას არა და სხვა კომპანიას ჩაატარებინე კვლევაო. აქედან გამოსავალი არის ერთი, რომ მთავრობამ შეკრიბოს სოციოლოგები, რომლებიც, მადლობა ღმერთს, გვყავს და იმისთვის, რომ ეს სუბიექტურობა გამოირიცხოს, რამდენიმე ამას მე კი არ უნდა ვამბობდე, ან სოციოლოგები კი არ უნდა სთავაზობდნენ მას, თავად უნდა აკეთებდნენ ყველაფერს იმაში გასარკვევად, რას აკეთებენ სწორად და რა მოთხოვნილებები აქვს ხალხს.

სხვათა შორის, გარდა ამ კვლევის მიმართ უნდობლობისა, საქმეს ისიც ართულებს, რომ არაა გახსნილი „ენდიაის“ კვლევის მეთოდოლოგია. 2003 წელს ჭიაბერაშვილი ატარებდა კვლევებს. რომ ვკითხე, რა მეთოდოლოგიით ატარებ-მეთქი, მიპასუხა, კომერციული საიდუმლოებააო. რა ვიცი, კომერციული ფირმა გაქვს შენ თუ არასამთავრობო ორგანიზაცია? მაგრამ მაშინ ეს კვლევა სჭირდებოდათ რევოლუციის ფონის შესაქმნელად. ნახეთ, როგორი ბედნიერები არიან, როცა ამბობენ, რომ 10%-ით შემცირდა მათი რიცხვი, ვინც ეკლესიის მუშაობას დადებითად

– მოდით, გვერდზე გადავდოთ ყველა ციფრი და მარტივად გიპასუხებთ, ისე დაეცა ქართული ეკლესიის რეიტინგი, რომ ნავარო მართლმადიდებლად მოინათლა.

**— „ენდიაი“ გვარწმუნებს, რომ მარგველაშვილს მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ივანიშვილს, არადა, ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ მარგველაშვილი სწორედ ივანიშვილის ხათრით ავირჩიეთ. ასეთ სისულელეს ვინ დაიჯერებს?**

– ეს თემა ძალიან უცნაურად გამოიყურება, რბილად რომ ვთქვათ. აქ საგულისხმოა, ვინ ატარებს „ენდიაის“ დაკვეთით კვლევებს. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ეს ორგანიზაციები ახლო ურთიერთობაში და მეტიც, ნათესაურ ურთიერთობაში არიან „ნაციონალ“ ელიტასთან. გაიხსენეთ „რუსთავი 2“-ის „ფიფლმეტრების“ ამბავი, ვინ აყენებდა ამ „ფიფლმეტრებს“? ეს იყო ძალიან ძვირი სიამოვნება, რომელსაც აყ-

# როცა ღარიბაშვილმა დამნაშავე „ნაცების“ დაჭერით ხალხის გული მოიგო, რანაირად გადაუსწრო ალასანიამ?

„ენდიაიმ“ კვლევის პოლიტიკურ ნაწილში უცნაური რეიტინგი გამოაქვეყნა: გიორგი მარგველაშვილი — 48%, ბიძინა ივანიშვილი — 45%, დავით ნარმანია — 45%, თეა წულუკიანი — 44%.

ახლა დავსვათ კითხვა: მარგველაშვილი — პრეზიდენტად, ხოლო ნარმანია თბილისის მერად მოსახლეობამ ივანიშვილის ხათრით აირჩია. მაშინ რანაირად ხდება, რომ ერთმა გადაუსწრო, ხოლო მეორეს იგივე პროცენტი აქვს, რაც ივანიშვილს?

„ალიას“ „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი, **ნანა დევდარიანი** ესაუბრა:

**— ქალბატონო ნანა, წლების მანძილზე „ენდიაის“ დასკვნები საზოგადოებაში სანდოობით არასოდეს გამოირჩეოდა. ახლა, მით უმეტეს. როგორ**



„ნახეთ, როგორი ბედნიერები არიან, როცა ამბობენ, რომ 10%-ით შემცირდა მათი რიცხვი, ვინც ეკლესიის მუშაობას დადებითად აფასებსო. ჰგონიათ, რომ რაღაცას მიაღწიეს ამ თავისი გაუთავებელი პროვოკაციებით“

სოციოლოგმა ერთ ჯგუფად იკისროს ობიექტური გამოკვლევის ჩატარება. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი, უნდა იყოს მუდმივი. „ენდიაის“ გამოკითხვაში ისეთი პარადოქსია, რომ 4 თვის წინ ადამიანებმა იცოდნენ, ვინ არის მათი მაჟორიტარი დეპუტატი და ახლა დაავიწყდათ? მეორე ფაქტორი ისაა, რომ კვლევა ჩატარებულია ივლისის ბოლოს-აგვისტოს დასაწყისში, ძირითადად თბილისში. ამ დროს ქალაქში ვინ რჩება ხოლმე? ვისაც არავითარი შანსი არ აქვს სადმე წასვლის და ყველაზე გაღიზიანებული ნაწილია. ეს სულაც არ არის შემთხვევითი და სოციოლოგმა ეს უნდა იცოდეს. პარადოქსია, როცა 51% მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია არის „ნაციონალური მოძრაობა“. ეს არის „ტაბულა ბიცოლას“ ოცნების ახდენა.

**— ამდენი წელია საზოგადოებას ტვინს უმღვრევენ და ნერვებს უშლიან, აღიზიანებენ. არ შეიძლება, მოღვაწეობა აეკრძალოს?**

– აკრძალვა არ არის მეთოდი. ერთადერთი შანსია, რომ შენ თვითონ დადო ობიექტური კვლევის შედეგები. ამის შანსი არის და ეს უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ თუნდაც იმიტომ, რომ იცოდეს, რას ფიქრობს რეალურად ხალხი, რა აზრი აქვს მოსახლეობას, ეს მათ სჭირდებათ თავისი საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვისთვის.



„მარგველაშვილი, რომელიც არც მანამდე იყო საჯარო ფიგურა და არც ახლა მოასწავებს არაფერს მისი აქტივობები, რომ მისი რეიტინგი გაზრდილიყო, არადა აღმოჩნდა, რომ თურმე ივანიშვილზე პოპულარულია. ბოდიში, მაგრამ იმავე კვლევებით ხომ ირკვევა, რომ ივანიშვილი იღებს გადაწყვეტილებებს და როგორ ხდება, რომ კაცს რეიტინგი არ აქვს და მაინც მართავს ქვეყანას?“

აფასებსო. ჰგონიათ, რომ რაღაცას მიაღწიეს ამ თავისი გაუთავებელი პროვოკაციებით.

**— ეკლესიის რეიტინგი 10%-ით დაეცაო. ბოლო დროს რომ ეკლესიისა და სასულიერო პირების დისკრედიტაციის არაერთი მცდელობა დაფიქსირდა, ალბათ ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ ეს მინუს 10 პროცენტი გაემართლებინათ...**

ენებდა კომპანია, რომლის პოლიტიკური მისწრაფებები საყოველთაოდ იყო ცნობილი და სწორედ ის ადასტურებდა, რომ „რუსთავი 2“-ზე უკეთესი არაფერი იყო მთელ ქვეყანაში. „ფიფლმეტრე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ევრაზიული არჩევანი“ 3 სექტემბერს აქციას გამართავს




კოალიცია „ევრაზიული არჩევანი – საქართველო“ 3 სექტემბერს აშშ-ის საელჩოსთან აქციას გამართავს სახელწოდებით: „არა – ნატოს!“. კოალიციის თავმჯდომარის, არჩილ ჭყოიძის განცხადებით:

„საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა არ უჭერს მხარს ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას. არსებობს შესაბამისი გამოკითხვები. გვსურს, რომ ქართველი საზოგადოება თავად დარწმუნდეს იმაში, რა მძიმე დანაშაულებს სჩადის აშშ. გარდა ამისა, 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებული პლებისციტი, რომლის შედეგების მიხედვით თითქოს საქართველოს მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, გაყალბებული იყო“, – განაცხადა ჭყოიძემ.

მან, ასევე რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ „აუცილებელია ჩატარდეს რეფერენდუმი პრესინგის გარეშე. ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა – ჩატარდეს ღია, გამჭვირვალე და ობიექტური რეფერენდუმი“. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მართლმადიდებელი სამყარო დღეს მარიამობას აღნიშნავს



მართლმადიდებელი სამყარო ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს – მარიამობას აღნიშნავს. საღმრთო ლიტურგიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II სიონის ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში აღავლენს.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი – ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოვლადწმიდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

მარიამობის დღესასწაულს წინ მარიამობის მარხვა უძღოდა, რომელიც 14 აგვისტოს დაიწყო და 29 აგვისტოს წირვის შემდეგ დასრულდება. ეკლესიის ისტორიაში ამ მარხვის დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია. უცნობია, აგრეთვე, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული.

ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე უფალმა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ახარა, რომელიც მას ზეთისხილის მთაზე ლოცვისას გამოეცხადა. მთავარანგელოზმა დედაღვთისას ამცნო, რომ სამი დღის შემდეგ მიიძინებდა. ამის დასამოწმებლად კი სამოთხეში დანერგილი ფინიკის ხის ტოტი გადასცა, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა. ის მის საფლავთან უნდა მიეტანათ.

ღვთისმშობლის სურვილისამებრ, უფალმა საქადაგებლად წასული წმინდა მოციქულები მიძინების დღეს ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად შეკრიბა. უფალმა ასევე ისმინა ღვთისმშობლის თხოვნა, რომ არ ეხილა ჯოჯოხეთის საშინელებები და ღვთისმშობლის სული თავად უფლის ხელით ავიდა ცათა სასუფეველში.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოციქულებმა გეთსიმანიის ქვაბულში დაკრძალეს. ამ პროცესს თომა მოციქული არ ესწრებოდა. მესამე დღეს მოციქულებმა მისთვის ქვაბულის ლოდი გადააგორეს და აღმოაჩინეს, რომ ღვთისმშობელი უფალმა მკვდრეთით აღადგინა და ხორცით ზეცაში აღამაღლა. ამიტომ ეკლესია ღვთისმშობლის აღსასრულს მიძინებას უწოდებს. (ინტერპრესნიუსი)

*მესამე გვერდიდან*

ბი“ იდგმებოდა „ნაციონალების“ ოჯახებში, რომლებიც გამუდმებით უყურებდნენ „რუსთავი 2“-ს და ითვლებოდა, რომ სწორედ ეს ტელევიზია იყო დედამიწაზე ყველაზე პოპულარული. იგივე მეთოდოლოგიაა აქაც. აქედან გამოდის ისიც, რომ მარგველაშვილი, რომელიც არც მანამდე იყო საჯარო ფიგურა და არც ახლა მოასწავებს არაფერს მისი აქტივობები, რომ მისი რეიტინგი გაზრდილიყო, არადა აღმოჩნდა, რომ თურმე ივანიშვილზე პოპულარულია. ბოდიში, მაგრამ იმავე კვლევებით ხომ ირკვევა, რომ ივანიშვილი იღებს გადაწყვეტილებებს და როგორ ხდება, რომ კაცს რეიტინგი არ აქვს და მაინც მართავს ქვეყანას?

**— რაც შეეხება წულუკიანს, მოწონების რეიტინგში მეოთხე ადგილზეა იმ დროს, როცა „აიდი“ ბარათებთან დაკავშირებით და მართლმსაჯულების დამდგენი კომისიის არშექმნის გამო, ლამის მთელი**



**„რაც შეეხება ბაქრაძის 48%-ს, ბოლო დროს სულ არ ჩანს, ერთადერთი, როცა მისი გვარი გახმიანდა, იყო ძალიან არასასიამოვნო ამბავი მისთვის, უცხოეთში დაგროვილი უზარმაზარი თანხის შესახებ. ეს პოზიტივი არ იქნება, მაგრამ თუ ვინმეს იმის თქმა უნდა, რომ მოსახლეობა აღფრთოვანებულია იმით, რომ ბაქრაძემ სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას მილიონობით ქონება დააგროვა, ეს კრიტიკას ვერ უძლებს“**

**მრევლი გადაიკიდა. როგორ მოხდა, რომ წამყვანი ადგილი დაიკავა იმ დროს, როცა სერგეენკო არც კი არის ნახსენები?**

– იმისთვის, რომ არავის ამაზე არაფერი ეთქვა „ენდიაისთვის“, ეშმაკურად ჩართეს, რომ ღარიბაშვილის დამსახურება არის ჯანდაცვა. ანუ ვერ იტყვი, რომ ჯანდაცვა ნახსენები არ არის, აი, ბატონო, ღარიბაშვილის რეიტინგზე იმოქმედაო, გეტყვიან. სერგეენკო თითქოს ბუნებაში არ არის. ეს არ არის შემთხვევითი, მითუმეტეს, როცა ალასანიას იმხელა რეიტინგი გამოუყვანეს, ვერავინ გაიგებს, რას ეფუძნებოდა. ეს ყველაფერი არის წახალისება იმათი, ვინც ატარებს ამერიკულ ინტერესებს. წულუკიანზე ამას მთლად ისე ვერ იტყვი, რადგან იმდენად ცოტაა ქალი ჩვენს ხელისუფლებაში, რომ ქალი მინისტრი რაღაცნაირად სიმპათიებს იწვევს.

**— ამით აიხსნება გოგალაძის ხსენებაც?**

– დიახ, თუმცა ჩამონათვალში არის, მაგრამ შეცვალეს, უკვე აღარაა მინისტრი. ეს ერთგვარი ტექნოლოგიაა, ისე დასვა კითხვები, რომ მიიღო შენთვის სასურველი პასუხები. ორივე ჟურნალისტი ვართ და ვიცით, როგორ ისმის ხოლმე კითხვა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კითხვარები იქნას გამოქვეყნებული. რომ გკითხო, ირაკლი ალასანია მოგწონსო, სხვა პასუხს გამცემ და თუ გკითხავ, აი, ახალაიასა და კეზერაშვილის ფონზე თუ მოგწონსთქო, სხვანაირად მიპასუხებ, ხომ ასეა? ახლა მთავრობამ უნდა მოიწვიოს ავტორიტეტული სოციოლოგები, დადოს „ენდიაის“ ყველა კვლევა და იგივე კითხვებით ჩაატაროს რეპრეზენტაბელური გამოკითხვა.

**— ნარმანია ერთი თვეც არ არის რაც მერის კაბინეტში შევიდა, ჯერ არაფერი გაუკეთებია და მის 45%-ს როგორ ახსნით?**

– ნარმანიამ მეორე ტურში აიღო 72%, ეს ერთადერთი მიზეზით აიხსნებოდა, რომ მელია არ გამხდარიყო ქალაქის მერი და „ნაციონალების“ ხელში არ დარჩენილიყო ქალაქი. ამიტომაც არ მიკვირს ნარმანიას ეს პროცენტი, მაგრამ მე მიკვირს, როცა არჩევნებს კაცი იგებს 72%-ით, ასე რატომ უვარდება რეიტინგი რამდენიმე თვეში? მოლოდინები მის მიმართ არსებობს. საქმის გაკეთებას ვერც მოასწრებდა, მაგრამ „სითი პარკთან“ პრინციპული პოზიციის დაფიქსირება და ის, რომ მოქალაქეების მიღება დაიწყო, ამასაც აქცევენ ადამიანები ყურადღებას.

**— ბაქრაძის 48%-ს როგორღა ახსნით?**

– რაც შეეხება ბაქრაძის 48%-ს, ბოლო დროს სულ არ ჩანს, ერთადერთი, როცა მისი გვარი გახმიანდა, იყო ძალიან არასასიამოვნო ამბავი მისთვის, უცხოეთში დაგროვილი უზარმაზარი თანხის შესახებ. ეს პოზიტივი არ იქნება, მაგრამ თუ ვინმეს იმის თქმა უნდა, რომ მოსახლეობა აღფრთოვანებულია იმით, რომ ბაქრაძემ სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას მილიონობით ქონება დააგროვა, ეს კრიტიკას ვერ უძლებს. ეს პროცენტები, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ დაუწერეს, არანაირად არაა ადეკვატური. პიროვნებისა და პარტიების რეიტინგი ერთმანეთს არ უნდა დავატოლოთ, მაგრამ 11% მაინც შედარებით ახლოსაა რეალობასთან. კი ამბობდნენ, 22% ავიღეთ ადგილობრივ არჩევნებზეო, მაგრამ სრული კრახი განიცადეს. პროცენტებზე მაშინ აწყობთ ხოლმე ლაპარაკი, როცა არ უნდათ რეალური ციფრების დასახელება. როცა „ენდიაიც“ კი იძულებულია, 11%-ზე მეტი ვერ აჩვენოს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ რადარებიდან შეიძლება არ გამქრალან, მაგრამ ბევრიც არ უკლიათ.

**— კვლევა იმ დროს ჩატარდა, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერების დაჭერის გამო ღარიბაშვილმა განაწყენებული მასების გული მოიგო. ამით რის თქმა უნდა „ენდიაის“, რატომ არ იმოქმედა ღარიბაშვილის რეიტინგზე დადებითად, რანაირად უნდა გადაესწრო მისთვის ალასანიას?**

– ეს მთლიანი თამაშის ნაწილია. მარგველაშვილის მაღალი რეიტინგი, ღარიბაშვილისა და ივანიშვილის დაბალი რეიტინგი ამით აიხსნება. პრობლემა დასმული კითხვების ფორმულირებაში უნდა ვეძებოთ.

**— ციფრებს რომ თავი დავანებოთ, ამით ქართველ საზოგადოებაში ნდობას არა მარტო „ენდიაი“, აშშ-ც კარგავს.**

– ჩემი თაობა იყო ყველაზე პროდასავლური და პროამერიკული თაობა, მაგრამ დღეს ყველა ანტიდასავლურადაა განწყობილი. მე გავაკეთე ერთი დასკვნა ჩემთვის, რომ რაც უფრო შორს არის შეერთებული შტატები, მით უფრო მიმზიდველი და კარგია, რაც უფრო ახლოს მოდის, საკუთარ რეიტინგს ანადგურებს. ასე ხდება ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შევიდა და დემოკრატიის სახელით ქვა ქვაზე არ დატოვა. სახელმწიფო ადმინისტრაციის სახელით საუბრობს ჯენიფერ პსაკი და ამას წინათ ისეთი სისულელე თქვა, გავოგნდი. თუ რუსეთი შეიყვანს ჯარს უკრაინაში, ჩვენი მეექვსე საზღვაო ფლოტი მივა ბელორუსის სანაპიროსთანო. ქალი ლაპარაკობს



**„მიკვირს, როცა არჩევნებს კაცი იგებს 72%-ით, ასე რატომ უვარდება რეიტინგი რამდენიმე თვეში? მოლოდინები მის მიმართ არსებობს. საქმის გაკეთებას ვერც მოასწრებდა, მაგრამ „სითი პარკთან“ პრინციპული პოზიციის დაფიქსირება და ის, რომ მოქალაქეების მიღება დაიწყო, ამასაც აქცევენ ადამიანები ყურადღებას“**

აშშ-ს დეპარტამენტის სახელით და არ იცის, რომ ბელორუსს არ აქვს სანაპირო ზოლი და არ შეუძლია ზღვაზე გასვლა. ამაზე მეტად როგორ უნდა დაეცეს რეიტინგი? რაც ამერიკამ ჰეგემონის მანტია მოირგო და დაუსჯელობის სინდრომით დაავადდა, ჩათვალა, რომ ყველანაირი სისულელის მტკიცება შეუძლიათ და ყველაფერი გაუვათ.

**— ქალბატონო ნანა, ერთ საკითხზეც მაინტერესებს თქვენი აზრი. როგორც კი ხელისუფლებამ სავიზო რეჟიმი გაამკაცრა, „ნაციონალები“ აქოთქოთდნენ, რას აკეთებთ, ასე როგორ შეიძლებაო. რატომ მოხვდათ ეს თემა გულზე?**

– „ნაციონალები“ ყეფენ იმიტომ, რომ სააკაშვილმა აბსოლუტურად ყველასთვის გახსნა საქართველოს საზღვრები და ე.წ. „პრახადნოი დვორივით“ გახადა ქვეყანა. ყველა შემომსვლელს, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო შემოსული, ტურისტად თვლიდა და ამბობდა, ისეთი ტურისტული ბუმია საქართველოში, რომ პირდაპირ ფული წამოვა წვიმასავითო, მაგრამ ასე არ მოხდა, არანაირად არ დასტყობია ბიუჯეტს და ეკონომიკას. ერთი მხრივ, ამაზე წკავწკავებენ და მეორე მხრივ, მათი აქტივისტები რუს ტურისტებს მანქანებში უვარდებიან და პუტინის ლანძღვას იწყებენ. სხვის მანქანასთან რა ესაქმებათ? ამას უნდა მოჰყვეს რეაგირება. ეს ხალხი მოწოდებულია სიტუაციის გამწვავებასა და პროვოკაციაზე. მათ არც ტურისტები აინტერესებთ, არც საქართველოს კეთილდღეობა, არც ქართველი ხალხი. ყველა ქვეყანა, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, აწესებს რეგულაციებს. აბა, წადით და ნახეთ, არის იოლი სხვა ქვეყნებში შესვლა. ეს დიდი ხნის წინათ იყო გასაკეთებელი. ეს ხალხი რომ შემოდის, უფასოდ არ შემოდის, ამიტომ ვის ჯიბეში შედის ეს შემოსავლები, ეს არის გასარკვევი.

**— დაბოლოს, ერთი უცნაურობა — ფანჯიკიძემ თქვა, რომ თურქეთში მარგველაშვილი უკვე იყო და ახლა, ერდოღანის ინაუგურაციაზე ღარიბაშვილი უნდა წავიდესო. ასეთ კომიკურ სიტუაციაში რატომ იგდებენ თავს?**

– სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მისი რეჟიმი კონსოლიდირებული ყოფილიყო. მაგრამ ეს ხდებოდა რის ხარჯზე? რასაც თვითონ იტყოდა, ის უნდა შეესრულებინა ყველას. როცა ასეთი დიქტატი აღარ არის, მინისტრს უნდა ეყოს გონივრულობა, რომ ასეთი სასაცილო განცხადებები არ აკეთოს. საერთოდაც, მოწვევა ვის სახელზეა გამოგზავნილი? საზეიმო ღონისძიებებზე უკვე რიგითობის მიხედვითაა დასწრება? სერგეენკო იყო? მაშინ წულუკიანი წავა? წულუკიანი იყო? სხვა წავა. ეს არასერიოზულია. „ნაციონალები“ ამით სარგებლობენ და სულ ცდილობენ, განხეთქილება შეიტანონ ახალ გუნდში. ეს მათ შევარდნაძის დროიდან დაიწყეს, გუნდში იყვნენ და შიგნიდან ხეთქავდნენ ამ გუნდს. ახლაც ჩასაფრებულები არიან და მიზეზი როცა არ არის, მაშინ პოულობენ ამ მიზეზს, მისცემენ მიზეზს და რა თქმა უნდა, ხელზე დაიხვევენ.

**ჟანა ასანიძე**
**558 00 16 16**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დედაქალაქის მთავრობას შესაძლოა სესხის აღება მოუხდეს




დედაქალაქის მერ დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისის მერიის ბიუჯეტიდან სხვადასხვა სფეროებისთვის საჭირო თანხები თითქმის მთლიანად გახარჯულია, დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე მილიონი, რომელიც სფეროების დაფინანსებას ვერ უზრუნველყოფს.

„ჩვენ ვაცხადებდით, რომ ყოველგვარი შეზღუდვების, კანონმდებლობის გარეშე ხდებოდა დედაქალაქის ბიუჯეტიდან თანხის ხარჯვა და ეს დადასტურდა მას შემდეგ, რაც დედაქალაქის მერიაში მოვედით და ამოვწიეთ ყველა საბიუჯეტო მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, ობიექტური რეალობის წინაშე დავდექით, რომ ბოლომდე გახარჯული ჯანდაცვითი და სოციალური უზრუნველყოფის მუხლები, უნდა შევავსოთ სხვა მუხლებში არსებული ეკონომიით, რათა წლის ბოლომდე არ შევაფერხოთ სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის მომსახურება. დაახლოებით 25 მილიონი ლარია დეფიციტის მოცულობა, რომელიც ბიუჯეტში წლის ბოლომდე გვაქვს და იძულებული ვხდებით, მივმართოთ ცენტრალურ ხელისუფლებას თანხმობის მისაღებად სესხის აღებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ წლის ბოლოსთვის დამატებითი რესურსები დაგვჭირდება, იძულებული ვიქნებით ავიღოთ სესხი, რათა გავისტუმროთ ყველა აუცილებელი მომსახურება და მომდევნო წლიდან მოგვიწევს მისი გასტუმრება, რაც ნორმალურად დაგეგმილი პროგრამული ბიუჯეტი გვექნება“, – განაცხადა ნარმანიამ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## დარიალის ხეობაში დაკარგული საქართველოს მოქალაქის ცხედარი იპოვეს



დარიალის ხეობაში, „დარიალჰესის“ გვირაბში ჩამოშლილი მიწის მასაში საქართველოს მოქალაქის ცხედარი იპოვეს. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფებმა ცხედარი რამდენიმედღიანი საძიებო-სამაშველო ღონისძიების შედეგად იპოვეს.

„დარიალჰესის“ გვირაბში სარემონტო სამუშაოებს ორი პირი აწარმოებდა. მეწყერის ჩამოწოლის შედეგად ერთ-ერთი მათგანის, თურქეთის მოქალაქის ცხედარი რამდენიმე დღის წინ მდინარე თერგის დინებამ რუსეთის მხარეს გამორიყა. ამ დრომდე დაკარგულად ითვლებოდა მეორე პირი, საქართველოს მოქალაქე.

ცხედარი გადასვენებულია ექსპერტიზის ჩასატარებლად. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ცხედარს ოჯახში გადაასვენებენ. (ინტერპრესნიუსი)



# ალეკო ელისაშვილმა „სითი პარკს“ ორკვირიანი ვადა მისცა

## რას უყვება საკრებულოს წევრი „ალიას“




**თბილისის მერიის მიერ აღმოჩენილ ამ კანონდარღვევებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „ალიას“ საკრებულოს წევრი, ალეკო ელისაშვილი ესაუბრება:**

**— ალეკო, თბილისის მერიამ 31 ინფრასტრუქტურული პროექტი შეაჩერა. ამ პროექტების შესახებ რაღაც დეტალები კი გააცნეს საზოგადოებას, მაგრამ ცალსახად იმის თქმა, რომელი პროექტების უკან დგას კორუფციული სქემები, რომელი ტენდერები ჩატარდა უკანონოდ, შეუძლებელია. ხომ არ იცი, რომელ პროექტს მერიის რომელი ყოფილი მაღალჩინოსანი გადაჰყვება?**

– ვინ რომელ პროექტს გადაჰყვება, ეს ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამ შეჩერებულ პროექტებს მერიის ყოფილი მაღალჩინოსნები რომ გადაჰყვებიან, ეს ნამდვილად ვიცი. მერიაში ტენდერები რომ კანონდარღვევით ტარდებოდა, კონკრეტული ჩინოვნიკებისა და ბიზნესმენების ინტერესებს რომ იყო მორგებული სატენდერო პირობები, ამით კანონი



**წარმოსადგენად. ნამეტანი ხომ არ ეფერებიან ამ მართლა ხალხის გამღლეტ კომპანიას? ერთ კვირაშიც წარმოადგენდნენ იმ ფინანსურ დოკუმენტაციას, მერს რომ მოენდომებინა.**

– მოდით, დავიცადოთ სექტემბრის ბოლომდე და დავაცადოთ მერიას ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. აი, მე კი 2 კვირაში გამოვაქვეყნებ

**„არავისთვის არ იყო სენსაცია, როცა გამოქვეყნდა დავით ბაქრაძის სიმამრისგან მიღებული „საჩუქარი“ — ვეებერთელა თანხა. შეგახსენებთ, რომ ბაქრაძის კარიერულ აღმასვლას მოჰყვა სწორედ მისი სიმამრის გამდიდრება... აგვისტოს ომის დროს, როცა ხალხს მოუწოდებდა, რუსულ ტანკებს შევარდნოდნენ, სწორედ იმ დროს ის და მისი სიმამრი მდიდრდებოდნენ“**

რასაც „ალია“ წლების მანძილზე მერიაში არსებულ განუკითხაობაზე, კორუფციაზე, ჩაწყობილ ტენდერებსა თუ კაპიკებად ხელში ჩაგდებულ სახელმწიფო ქონებაზე წერდა, ნელნელა დოკუმენტურად დასტურდება.

დავით ნარმანიას და მის გუნდს, თბილისის ბიუჯეტში 25 მილიონის დეფიციტი დახვდათ.

სად შეიძლება წასულიყო ეს ფული. მაგალითად, ჯერ კიდევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, ოპოზიცია მერიას იმაში ადანაშაულებდა, რომ გაყალბებული დოკუმენტაციით, ვითომდა სოციალურად დაუცველებს, სინამდვილეში კი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს აფინანსებდა, რათა მათ პარტიისთვის მაქსიმალური ხმები მოეგროვებინათ. რადგან მერია და მერიის ბიუჯეტი „ნაციონალების“ განკარგულებაში ამა წლის აგვისტომდე იყო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამჯერადაც რაღაც მაქინაციასთან გვაქვს საქმე. ფეხქვეშ რომ ითელებოდა, ეს ყველამ კარგად ვიცით. განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში ისეთი პროექტები დამტკიცდა, რომ თმები მართლა ყალყზე დაგიდგება კაცს. იმედი მაქვს, რომ ეს საქმეები გადაეცემა სამართალდამცავ სტრუქტურებს და გამოძიება თუ არა, საქმეების შესწავლა მაინც, მალე დაიწყება.

**— თუ ჯერ არ სწავლობენ ამ საქმეებს სამართალდამცავები, დააყენებთ საკრებულოში საკითხს, რომ ამ ტენდერებით დაინტერესდნენ?**

– კი, აუცილებლად, აბა, რისთვის ვარ საკრებულოში? ნამდვილად დავსვამ ამ საკითხს. მოკლედ, ეს ტენდერები გამოუძიებელი არ დარჩება, ამას გპირდებით.

**— „სითი პარკსა“ და მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ყველა პირობა ამ კომპანიაზე ყოფილა მორგებული. დავით ნარმანიამ „სითი პარკს“ სექტემბრის ბოლომდე მისცა ვადა ახალი ხელშეკრულების პროექტის**

მერიისა და „სითი პარკის“ კორუფციული ურთიერთობის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

**— ეს ის ხელშეკრულებებია, რომლებიც 2007 წლიდან სამჯერ დაიდო მერიასთან?**

– არა, ეს სხვა დოკუმენტებია, ესენი არის უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება გიგი უგულავასა და „სითი პარკის“ ხელმძღვანელთა კორუფციული ურთიერთობები.

**— უფრო კონკრეტულად ვერ მეტყვით, რა სახის დოკუმენტების გამოქვეყნებას აპირებთ?**

– არა, მეტს ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ, მოვლენებს არ მინდა დავასწრო და მაქსიმუმ 2 კვირაში გავასაჯაროებ ამ დოკუმენტებს და გავხსნი „სითი პარკისა“ და გიგი უგულავას კორუფციულ სქემას.

**— შესაძლოა „სითი პარკის“ საქმის გამო, გიგი უგულავას კიდევ ერთი ბრალი წაუყენონ?**

**„მეტრო 100 პროცენტით დოტაციურია და აქაც უნდა ჩავიხედოთ, რამდენად მიზნობრივად იხარჯებოდა მერიის ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი თანხები, სად მიდიოდა, როგორ მიდიოდა... მოკლედ, ეს ყველაფერი გამოსაკვლევი და გასარკვევია. ძველი ვაგონები დარახრახებს მეტროში, ინტერვალი ძალიან დიდია მარშრუტებს შორის, ეჭვი მეპარება, რომ მეტროსთვის გამოყოფილი ფული არამიზნობრივად იხარჯებოდა“**

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ბაზების განთავსების საკითხი განიხილება

ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, უელსში მომავალ კვირას დაგეგმილ სამიტზე ალიანსი თავისი ბაზების აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განთავსების საკითხს განიხილავს.



„ეს არის ნატოს პასუხი უკრაინის კრიზისზე. ბაზების აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განთავსება ბალტიისპირეთში შესაძლო დაძაბულობის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად“, – განაცხადა რასმუსენმა.

მან რუსეთის სამხედრო სტრატეგიაში ცვლილებებზეც გაამახვილა ყურადღება და ამის მაგალითად 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომი მოიყვანა.

„ნატო აღმოსავლეთ ევროპაში მზადყოფნის აქტიურ გეგმაზე გადასვლას იწყებს, რაც ევროპაში შექმნილი უსაფრთხოების ახალმა გარემოებამ განაპირობა“, – დასძინა რასმუსენმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### აჭარის მთავრობაში საკადრო ცვლილებებია



აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, არჩილ ხაბაძის განცხადებით, მთავრობის აპარატში და საქვეუწყებო დაწესებულებებში ცვლილებების შესახებ ბრძანებას 26 აგვისტოს მოეწერა ხელი. მთავრობის აპარატის უფროსად დაინიშნა რუსლან ქორიძე. ქობულეთის ყოფილი გამგებელი გიორგი რომანაძე დაინიშნა საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსად, ხოლო ამავე უწყების ყოფილი უფროსი კახა შაშიკაძე გადავიდა მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად, რომელსაც ადრე სულხან ოქროპირიძე ხელმძღვანელობდა.

„რაც შეეხება ცვლილებებს განათლების სამინისტროში, მიმდინარეობს კონსულტაციები მინისტრთან ბატონ გია თავამაიშვილთან. გავივლით რამდენიმე ვარიანტს და ვაკანტურ ადგილებზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ახალ თანამშრომლებს დავნიშნავთ. დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებულია სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მერაბ ნაგერვაძე. ამ ეტაპზე მას ვერ შევთავაზებთ თანამდებობას. სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს ჰქონდათ პრეტენზიები დეპარტამენტის ფედერაციებთან ურთიერთობისა და სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილში. მე მივიღე გადაწყვეტილება მინისტრთან ერთად, რომ ამ თანამდებობაზე მოიძებნოს ისეთი კადრი, ვინც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს სპორტს და სპორტსმენების ინტერესებს დაიცავს. ჯერ გამოკვეთილი კანდიდატი არ გვყავს. განათლების მინისტრის მოადგილე ქეთინო მანელიშვილიც განთავისუფლდა, მასთან კითხვები მქონდა თეატრში და სახელმწიფო ანსამბლში არსებული პრობლემების თაობაზე. ქეთევან მანელიშვილი ჩვენი გუნდის წევრია და ის გააგრძელებს ჩვენთან ერთად მუშაობას. მასთან კონსულტაციები მიმდინარეობს მის დასაქმებაზე.

ცვლილება შეეხო, ასევე, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის უფროსს ბიძინა აფხაზავას, თუმცა მისი გამოცდილების გათვალისწინებით, ის მოადგილის რანგში გააგრძელებს მუშაობას. ერთი ვაკანსია გვაქვს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, ორი კანდიდატურა შეირჩა, ორივე თავის სფეროში კომპეტენტური და პროფესიონალია. მალე პირადად გავიცნობ და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას“ – განაცხადა ხაბაძემ. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

– დიდი იმედი მაქვს, რომ ასე იქნება, დანარჩენი კი სამართალდამცავების საქმეა.

**— ალეკო, კიდევ ერთი საკითხია, რომელსაც თავის დროზე დიდი ხმაური მოჰყვა და მერე, რატომღაც, მიიჩქმალა. მიკროავტობუსების თემაზე ატეხილი ამბავი გახსოვთ? ტენდერები კანონდარღვევით ჩატარდა, 2 კომპანია, რომელთაც ტენდერებში გაიმარჯვეს, ერთსა და იმავე დღეს, რესტორან „ძველ თბილისში" დაფუძნდა, ეს დოკუმენტები გამოქვეყნდა კიდეც. ტენდერში ოთხმა კომპანიამ გაიმარჯვა და პირველი რაც გააკეთეს, მგზავრობის ტარიფი 50 თეთრიდან 80 თეთრამდე გააძვირეს. მძღოლები ხომ კაბალურ პირობებში ჰყავთ და რა ვიცი, კიდევ მრავალი კითხვა არსებობს ამ კომპანიების მესვეურთა მიმართ. ამ საკითხის წამოწევას ხომ არ აპირებთ? ამ კომპანიებს რა სახის ხელშეკრულებები აქვთ მერიასთან გაფორმებული, ესეც ძალიან საინტერესოა. იმ 80 თეთრიდან, მგზავრობის საფასურად რომ იხდის ხალხი მიკროავტობუსებში, რამდენი მიდის მერიის ბიუჯეტში, რას ხმარდებოდა ეს თანხები, ესეც გასარკვევია.**

– კი, ეს საკითხი აუცილებლად უნდა დაისვას. ჩვენ მერიის ტრანსპორტის სამსახურთან შეხვედრა გვქონდა, მაგრამ ბოლომდე საკითხი ჯერ არ არის ამოწურული. ამ კომპანიებმა მძღოლებთან კაბალური ხელშეკრულებები გააფორმეს. აუცილებლად უნდა გადაიხედოს მძღოლებსა და ამ კომპანიებს შორის დადებული ეს კაბალური ხელშეკრულებები, მძღოლები მონებად ჰყავთ, ტრეფიკინგის მსხვერპლია ეს ხალხი. ამ ხალხს სჭირდება მხარდაჭერა და ისეთი კონტრაქტები უნდა გააფორმონ კომპანიებთან, რომ ღირსების შემლახველი არ იყოს, მათი შრომის შესაფერისი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ და სხვა ყველაფერი, რაც დასაქმებულ ადამიანს ეკუთვნის. ცხადია, მერიასა და ამ კომპანიებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებსაც შევისწავლით და არც ერთ უმცირეს დარღვევას არ შევარჩენთ. იმასაც გავარკვევთ, სად მიდის მიკროავტობუსებიდან შემოსავალი და რამდენად კანონიერად ხარჯავდა მას მერია.

**— თუ ამ ხელშეკრულებებშიც აღმოჩნდა სერიოზული კანონდარღვევები, დადგება მათთან კონტრაქტის შეწყვეტის საკითხი?**

– გულმოდგინედ უნდა შევისწავლოთ ეს ხელშეკრულებები. თუ რაიმე უსაშველო კანონდარღვევა აღმოჩნდება, ცხადია, კონტრაქტების შეწყვეტის საკითხი დადგება. თუმცა, მოვლენებს არ გავუსწრებ. მოკლედ ვიტყვი – ამ კომპანიებს წავუყენებთ კონკრეტულ პირობებს და კანონის ძალით, ვაიძულებთ, შეასრულონ ისინი. ეს შეეხება მგზავრთა კომფორტულ გადაადგილებას, მძღოლების ადამიანურ პირობებში მუშაობას და სხვა საკითხებსაც. თუ ამ პირობებს ეს კომპანიები შეასრულებენ, დარჩებიან, თუ არადა, გზა დიდია. ჰო, ჯერ იმ ტენდერებს შევისწავლით, რომლებშიც ამ კომპანიებმა გაიმარჯვეს, თუ იქ აღმოჩნდა სერიოზული კანონდარღვევები, მაშინ ავტომატურად დადგება კომპანიებთან ხელშეკრულების გაუქმების საკითხი. თუმცა, ჯერ ხელშეკრულებები უნდა შევისწავლოთ და უფრო დეტალურად და კონკრეტულად მერე ვისაუბროთ ამ საკითხზე. საერთოდ კი, უნდა ვიფიქროთ უფრო ადეკვატური სატრანსპორტო საშუალებების შემოყვანაზე, „მარშრუტკები" არ უნდა იყოს ქალაქში გადაადგილების მთავარი საშუალება.



**„აუცილებლად უნდა გადაიხედოს მძღოლებსა და ამ კომპანიებს შორის დადებული ეს კაბალური ხელშეკრულებები, მძღოლები მონებად ჰყავთ, ტრეფიკინგის მსხვერპლია ეს ხალხი. ამ ხალხს სჭირდება მხარდაჭერა და ისეთი კონტრაქტები უნდა გააფორმონ კომპანიებთან, რომ ღირსების შემლახველი არ იყოს, მათი შრომის შესაფერისი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ და სხვა ყველაფერი, რაც დასაქმებულ ადამიანს ეკუთვნის"**

**— მუნიციპალური ტრანსპორტის — მეტროსა და ე.წ. ყვითელი ავტობუსების მგზავრობის საფასურის გაიაფების საკითხი არ უნდა დააყენოთ? ამ ტრანსპორტის მგზავრობის საფასურის გაძვირებას, თავის დროზე, დიდი აურზაური მოჰყვა და „ნაციონალები" გვიმტკიცებდნენ, ეს ხალხის საკეთილდღეოდ კეთდებაო.**

– მეტრო 100 პროცენტით დოტაციურია და აქაც უნდა ჩავიხედოთ, რამდენად მიზნობრივად იხარჯებოდა მერიის ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი თანხები, სად მიდიოდა, როგორ მიდიოდა... მოკლედ, ეს ყველაფერი გამოსაკვლევი და გასარკვევია. ძველი ვაგონები დარახრახებს მეტროში, ინტერვალი ძალიან დიდია მარშრუტებს შორის, ეჭვი მეპარება, რომ მეტროსთვის გამოყოფილი ფული არამიზნობრივად იხარჯებოდა, თორემ ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ უნდა იყოს არამხოლოდ სამგზავრო ვაგონები, მთლიანად ეს სისტემა. ცხადია, ტარიფების საკითხიც შესასწავლია, მაგრამ წინასწარ არ მინდა ხალხს უსაფუძვლო დაპირება მივცე. ჯერ უნდა ჩავიხედო ამ საქმეში.

**— „თბილისის მეტროპოლიტენის" დირექტორს ლევან კოპლატაძეს, მის მოადგილეებსა და მთლიანად მეტროს ადმინისტრაციას უზარმაზარი ხელფასები აქვთ და ასეთ პრემიებს არ იკლებენ ყოველთვიურად. აი, სად მიდის ფული და რაში იხარჯება ის თანხები, რომლითაც, წესით, ახალი ვაგონები უნდა შეიძინონ. სამაგიეროდ, მეტროს რიგით თანამშრომლებს აქვთ მათხოვრული ხელფასები და უმძიმესი სამუშაო პირობები.**

– ჰოდა, ამ თავგასულობას ბოლო უნდა მოეღოს მეტროშიც და მერიის სხვა სტრუქტურებშიც. ყველაფერს დეტალურად შევისწავლით და ვისაც რაიმე დანაშაულში მიუძღვის ბრალი, დაუსჯელი არავინ დარჩება. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე გრიალი დამთავრდა და ამას ყველა უნდა შეეგუოს.

**— მერიის ბიუჯეტს 25-მილიონიანი დეფიციტი აქვს და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად, ერთი თეთრიც არ არის დარჩენილი. სავარაუდოდ არამიზნობრივად არის დახარჯული. ეს უნდა შერჩეთ „ნაციონალებს"?**

– არავის არაფერი შერჩება და ყველა ზღავს საკუთარი ნამოქმედარის საფასურს. 25 მილიონი კი არა, 25 ლარის უკანონო დახარჯვას არ ვაპატიებთ არავის. ეს ფული, 25 მილიონი, სავარაუდოდ და ლოგიკურად, „ნაცმოძრაობის" ლიდერთა საბანკო ანგარიშებზე დაილექა. ეს საქმე ზედმიწევნით უნდა გამოიძიოს ფინანსურმა პოლიციამ და პროკურატურამ. უნდა გაირკვეს, სად წავიდა ამხელა თანხა. იმედი მაქვს, რომ ამ 25 მილიონის გამო, მერიის არაერთი ყოფილი მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.




**„არავის არაფერი შერჩება და ყველა ზღავს საკუთარი ნამოქმედარის საფასურს. 25 მილიონი კი არა, 25 ლარის უკანონო დახარჯვას არ ვაპატიებთ არავის. ეს ფული, 25 მილიონი, სავარაუდოდ და ლოგიკურად, „ნაცმოძრაობის" ლიდერთა საბანკო ანგარიშებზე დაილექა. ეს საქმე ზედმიწევნით უნდა გამოიძიონ ფინანსურმა პოლიციამ და პროკურატურამ. უნდა გაირკვეს, სად წავიდა ამხელა თანხა. იმედი მაქვს, რომ ამ 25 მილიონის გამო, მერიის არაერთი ყოფილი მაღალჩინოსნის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება"**

**„ამ თავგასულობას ბოლო უნდა მოეღოს მეტროშიც და მერიის სხვა სტრუქტურებშიც. ყველაფერს დეტალურად შევისწავლით და ვისაც რაიმე დანაშაულში მიუძღვის ბრალი, დაუსჯელი არავინ დარჩება. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე გრიალი დამთავრდა და ამას ყველა უნდა შეეგუოს"**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ენ-დი-აი"-ს მორიგი კვლევა

ამერიკის „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი" 2014 წლის აგვისტოს მორიგი კვლევის შედეგებს აქვეყნებს. კითხვაზე, რომელი პოლიტიკური პარტია დგას თქვენს შეხედულებასთან ყველაზე ახლოს, გამოკითხულთა 30%-თვის ასეთად არც ერთი პარტია არ მოიაზრება. აპრილში ეს მაჩვენებელი იყო 25%, ხოლო 2013 წლის ნოემბერში 14%-ს არ აღემატებოდა.

2014 წლის აგვისტოს მონაცემებით კი, „ქართული ოცნება" – 42%, არც ერთი – 30%, „ნაციონალური მოძრაობა" – 11%, ლეიბორისტები – 3%, სხვა პარტიები 2-2%-ს ინაწილებენ „პატრიოტთა ალიანსი" და „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია", სხვა პარტიების ჯამური მაჩვენებელი კი 3%-ია (ცალ-ცალკე 1%-ს არ აღემატება), არ იცის 4%-მა, უარი პასუხზე განაცხადა 4%-მა.

რაც შეეხება არასაპარლამენტო პოლიტიკურ ლიდერთა მოწონების რეიტინგებს, აქ დადებითი მაჩვენებლით ლიდერობს ლევან ვასაძე, ხოლო ყველაზე მაღალი უარყოფითი რეიტინგი აქვს ნინო ბურჯანაძეს: დადებითი პასუხების მიხედვით ლიდერობს ლევან ვასაძე +10, შალვა ნათელაშვილი +7, ირმა ინაშვილი -6, ბაჩუკი ქარდავა -16, ჯონდი ბაღათურია -17, გიორგი ახვლედიანი -20, ნინო ბურჯანაძე -25.

კითხვაზე: როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო, პასუხები ასე გადანაწილდა: 3%-ისთვის საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება, 37% – საქართველო ძირითადად სწორი მიმართულებით ვითარდება, 38% – საქართველო საერთოდ არ იცვლება, 12% – საქართველო ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება, 4% – საქართველო ნამდვილად არასწორი მიმართულებით ვითარდება.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოწონების მაჩვენებელი გამოკითხულთა 22%-ს შეადგეს. გიგი უგულავა – 21%-ს მოსწონს, 53%-ს კი – არა. ვანო მერაბიშვილი გამოკითხულთა 16%-ს მოსწონს, 55%-ს კი – არა.

უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის გიგა ბოკერიას მოწონების მაჩვენებელი 10%-ია, ხოლო 62%-ს კი ის არ მოსწონს.

მოწონების მაჩვენებლით საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს უსწრებს. გიორგი მარგველაშვლი – 48%; ბიძინა ივანიშვილი – 45%; დავით ნარმანია – 45%; თეა წულუკიანი – 44%; კახა კალაძე – 44%; ეკა ბესელია – 39%.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე პოლიტიკოსთა მოწონების მაჩვენებლით ლიდერობს. პატრიარქი – 91%, ირაკლი ალასანია – 60%, ირაკლი ღარიბაშვილი – 54%, დავით უსუფაშვილი – 51%, დავით ბაქრაძე – 48%. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მუცოს აღდგენით შევქმნით უნიკალურ ტურისტულ ადგილს"




პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხევსურეთში იმყოფებოდა. მან მუცოს კომპლექსი დაათვალიერა, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად დაწყებულია. მუცოს რეაბილიტაციის 3-წლიანი პროექტის ინიციატორია პრემიერ-მინისტრი, მან ყურადღება მუცოს მნიშვნელობაზე გაამახვილა.

„ეს არის ჩვენი თაობის პირველადი მოვალეობა, რომ უნიკალური ციხე-ქალაქი შემოვუნახოთ და გადავცეთ მომავალ თაობას. რომ იტყვიან, მივუსწარით ამ ქალაქს, რადგან უკვე ინგრეოდა და იშლებოდა. მოვასწრებთ ზამთრამდე პირველადი სამუშაოების დასრულებას. ძეგლები, რომლებიც იშლება, უნდა გადავარჩინოთ. მოწვეული გვყავს საუკეთესო სპეციალისტები, რომ პირვანდელი სახე დავუბრუნოთ. რაც ყველაზე მთავარია, მუცო არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილია. მუცოს აღდგენით, რომელიც დასრულდება სამ წელიწადში, შევქმნით უნიკალურ, ტურისტულ ადგილს. აქ გაჩნდება ახალი საშუალება ინფრასტრუქტურის გასაკეთებლად". – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (რეპორტიორი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომელი გია ბარამიძის, ზურაბ ადეიშვილის და კობა სუბელიანის მიჩქმალულ საქმეებზე ალაპარაკდა

**მამუკა ჩხეიძე კონტროლის პალატის სისტემაში, 1993 წლიდან, ანუ დაარსებიდან, 2007 წლამდე მუშაობდა. მან სტრუქტურაში ყველა ეტაპი გაიარა, ბოლოს კი ძალოვან სტრუქტურებს კურირებდა. მის ხელში უამრავმა საქმემ გაიარა და ზედმიწევნით იცის, რა ხდებოდა პროკურატურაში წლების განმავლობაში.**

**მამუკა ჩხეიძე „ალიას" კონტროლის პალატის იმ მასალებზე ესაუბრა, რომლებზეც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და თავის დროზე პროკურატურაშია გადაგზავნილი, მაგრამ რატომღაც „ჩაკარგულია".**

**— კონკრეტულად, რა საქმეებია?**

– პირველი – ეს არის გიგი უგულავას საქმე. სისხლის სამართლის ამ საქმის გამო, 2007 წელს, მთელი კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას სამსახურები დაგვატოვებინეს. საქმე ეხებოდა, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიმართ აღძრულ საქმეს, კერძოდ ათობით მილიონ ლარს. იმ დროს, კობა სუბელიანი – ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ქალაქის მერი კი გიგი უგულავა იყო. კონტროლის პალატამ 2005-2006 წლებში მერიის კეთილმოწყობის სამსახური შეამოწმა. როდესაც ეს შემოწმება დასრულდა, კონტროლის პალატამ უამრავი კანონდარღვევა აღმოაჩინა, ეს დასკვნაშიც დააფიქსირა და 2007 წელს პროკურატურას გადაუგზავნა.

მეორე – 2005 წელს, პროკურატურაში გადაიგზავნა შემდეგი საქმე – იყო ასეთი, შპს „ტერას" საქმე, რომლის შემოწმების დროსაც გამოვლინდა, რომ რამდენიმე ათეული ათასი ლარი, გიორგი ბარამიძის მიერ, ამ კომპანიის მეშვეობით უკანონოდ გაიხარჯა.

**— რას მოხმარდა აღნიშნული თანხა?**

– ბარამიძე მაშინ მინისტრი იყო. ამ თანხის ნაწილი მის კერძო ბინას მოხმარდა, ხოლო ნაწილი წყნეთის აგარაკს, რომლითაც ის იმ მომენტში სარგებლობდა უკანონოდ, ეს აგარაკი, სამინისტროს ბალანსზე არ იყო.

**— ეს „ტერა" რა კომპანია იყო?**

– კერძო სარემონტო კომპანია იყო. თუ პროკურატურა ამ მასალის მოკვლევას გააგრძელებს, ძალიან საინტერესო თემებზე გავლენ, მათ შორის იმ საკითხზეც, რა მოხდა იმ აგარაკზე, რომელზეც ეს მასალა გადაიგზავნა.

**— რა მოხდა?**

– ეს პროკურატურის პრეროგატივაა. ამაზე მეტი და ამაზე კარგი რაღა ვუთხრა?! მოიძიონ საქმე. თუ არ აქვთ, დამიკავშირდნენ და ვასწავლი, სად და როგორ უნდა მოიძიონ!

ხელისუფლება თავს ვერაფერს აბამს, ერთ ადგილზე ცოდვილობენ. 100 საქმიდან, ერთ საქმეს ძლივს აბამენ თავს და საბოლოოდ, როცა საქმე სასამართლოში მიდის, კი ხედავთ, როგორც მთავრდება. პროკურატურაში, როგორც კი მენეჯმენტი შეიცვალა, საქმეების ინვენტარიზაცია უნდა გაეკეთებინათ. მათ მისვლამდე რამდენი საქმე შევიდა, საიდან შევიდა, სად გავიდა და როგორ დამთავრდა, ეს უნდა გაერკვიათ.

**— რის თქმა გინდათ, პროკურატურის ხელმძღვანელობამ ამ საქმეების შესახებ არ იცის?**

– მაღალ, შუა და დაბალ რგოლებში, ძველი ხალხია დარჩენილი. ისინი ყველანაირად ხელს უშლიან ამ საქმეების წინ წამოწევას. ზემოთ კიდევ ვინც არიან, საქმე არ იციან. თითზე ჩამოსათვლელები არიან ისეთები, ვინც საქმე იცის. პროკურატურაში მარტო ხელმძღვანელობა გამოიცვალა, ქვედა დონეზე ძველი კადრები არიან შემორჩენილები და ისინი თავის ჩასვრილ საქმეს ხომ არ მოქექავენ?! ბოლო ერთი წელია, ყველა ის პრეტენზია, რასაც ამჟამინდელი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს უყენებს, დასავლეთში ფასდება, როგორც პოლიტიკური დევნა. შე დალოცვილო, ძველი ხელისუფლების დროსვე, სხვადასხვა მაღალჩინოსნების მიერ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, აიღე ეს მასალა და გამოიყენე. მაშინ მაინც ხომ ვერ იტყვის დასავლეთი, პოლიტიკური დევნააო?! 2005-2006-2007 წლებზეა საუბარი.

ხელისუფლება ებრძვის ახალ-ახალ ფანტომებს, მაშინ როცა სისხლის სამართლის საქმე გამზადებულია და აღძრულია. ამ საქმეებს რომ მსვლელობა არ ეძლეოდა, წარმოიდგინეთ, რა დონემდე იყვნენ ჩართულები ხელისუფლების პირველი პირები. ამ საქმეების შეჩერებას ადეიშვილიც არ აიღებდა თავის თავზე, მე მგონია. მიშას დონეზე გადაწყდებოდა ეს საკითხი. ადეიშვილი აუცილებლად მიშას ჩააყენებდა საქმის კურსში. რა წერია ამ საქმეებში, ამას რომ თავი დაანებო, მარტო იმ თემაზე რომ იმუშაო, რა-

გაგრძელება მე-8 გვერდზე



**„ეს არის გიგი უგულავას საქმე. ამ სისხლისსამართლის საქმის გამო, 2007 წელს, მთელი კონტროლის პალატის ხელმძღვანელობას სამსახურები დაგვატოვებინეს. საქმე ეხებოდა, მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიმართ აღძრულ საქმეს, კერძოდ ათობით მილიონ ლარს. იმ დროს, კობა სუბელიანი, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ქალაქის მერი კი გიგი უგულავა იყო"**

**„ბოლო ერთი წელია, ყველა იმ პრეტენზიაზე, რასაც ამჟამინდელი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს უყენებს, დასავლეთში ფასდება, როგორც პოლიტიკური დევნა. შე დალოცვილო, ძველი ხელისუფლების დროსვე, სხვადასხვა მაღალჩინოსნების მიერ, სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, აიღე ეს მასალა და გამოიყენე. მაშინ მაინც ხომ ვერ იტყვის დასავლეთი პოლიტიკური დევნააო?! 2005-2006-2007 წლებზეა საუბარი"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სასჯელაღსრულების სამ დაწესებულებაში პატიმრები შიმშილობენ




სასჯელაღსრულების მე-2, მე-5 (ქალთა კოლონია) და მე-6 დაწესებულებებში ამ დროისთვის 32 პატიმარი შიმშილობს. სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის არჩილ თალაკვაძის თქმით, პატიმრების ძირითადი მოთხოვნები საქმეების გადახედვასა და ვადამდე განთავისუფლებას უკავშირდება.

„შიმშილობა ამ სისტემისთვის პროტესტის ძალიან დამახასიათებელი ფორმაა. თითოეულ ასეთ შემთხვევას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. კერძოდ, მოშიმშილეებთან მუშაობენ ადმინისტრაციის თანამშრომლები, ფსიქოლოგები და სამედიცინო პერსონალი, რომ მოხდეს მათი მდგომარეობის კონტროლი და დავარწმუნოთ ისინი, რომ შეწყვიტონ შიმშილობა. მათი პრეტენზიები ძირითადად უკავშირდება საქმეების გადახედვას და ვადამდე განთავისუფლებას. თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად არის განხილული". – განაცხადა თალაკვაძემ.

როგორც უწყებაში აცხადებენ, სასჯელაღსრულების სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს, თუმცა პატიმრების მოთხოვნები უწყების კომპეტენციას სცილდება. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნივთების სია, რომელთა შეტანა საპყრობილეებში აკრძალულია




სასჯელაღსრულების მინისტრის გიორგი მღებრიშვილის განკარგულებით, ცვლილება შევიდა 2011 წლის 30 მაისის №97-ე ბრძანებაში და განისაზღვრა იმ ნივთების, პროდუქტების, ნაკეთობების, ნივთიერებებისა და დოკუმენტების ნუსხა, რომელთა შეტანა აკრძალულია საპატიმრო დაწესებულებაში ბრალდებულთან და მსჯავრდადებულთან შეხვედრაზე შემსვლელი პირისთვის.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იმ ნივთების სიას აქვეყნებს, რომელთა შეტანა საპყრობილეებში აკრძალულია:

1. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები; 2. ცივი იარაღის ყველა სახეობა; 3. სატრანსპორტო საშუალებები; 4. ქიმიკატები, ფეთქებადი, მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები; 5. ფული (ნებისმიერი სახის ფულადი ვალუტა), ფასიანი ქაღალდები და საკრედიტო ბარათები; 6. ფასეული ნივთები, ნებისმიერი სახის ოქროს, ძვირფასი და არაძვირფასი მეტალისგან დამზადებული ნივთები, სამკაულები, მათ შორის „ბიჟუტერია", ყველა სახეობის საათი; 7. ოპტიკური ხელსაწყოები; 8. სათვალეები (გარდა ოპტიკურისა); 9. საკვები პროდუქტები, რომლებიც საჭიროებენ სითბურ დამუშავებას (ყავის და ჩაის გარდა), საფუარი, შაქარი; 10. ალკოჰოლური სასმელების ყველა სახეობა, ლუდი, არაგამჭვირვალე შეფერილობის მქონე სითხე; 11. სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები; 12. გადასამრავლებელი აპარატები; 13. დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, მინისგან დამზადებული ნივთები; 14. ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები; 15. ხელჯოხები (გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა); 16. ბანქო; 17. ფოტოაპარატები, ფოტომასალები, აუდიო-ვიდეო და ფიქსაციის სხვა საშუალებები; 18. მობილური ტელეფონები (მათ შორის, მობილური ტელეფონის დამტენი, სიმ-ბარათი და აქსესუარები); 19. ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა); 20. კომპასები; 21. დაუდგენელი ნიმუშის სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი და ფეხსაცმელი, ქუდები, თავსაბურავები, ხელთათმანები; 22. საღებავები და კოპირების ქაღალდები. (რეპორტიორი)

*მეშვიდე გვერდიდან*

ტომ შეჩერდა ეს საქმეები, ხომ გავლენ ადეიშვილზე? ამ საქმეს რომ მიჰყვნენ, აუცილებლად მიაკვლევენ თანამშრომელს, რომელიც იტყვის, რომ ადეიშვილმა დაავალა ამა თუ იმ საქმის გვერდზე გადადება. საბოლოოდ კი ადეიშვილამდე მიხვალ, მაგრამ ამათ ეს არ უნდათ.

— **რატომ არ უნდათ, რით ახსნით ამას?**

– აბსოლუტური არაკომპეტენტურობით, ან ხელის დაფარებით და რომელიც უნდათ, თვითონ აირჩიონ. ალბათ, მიაკვლია ვინმემ და ახლა იმან შემოდო თაროზე ეს საქმე და ის თამაშობს ადეიშვილის როლს.

კონტროლის პალატის ბიუჯეტი იყო ყოფილი ხელისუფლების ბეღელი. 2012 წლის ნოემბერში, პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წელს გაწეული საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია. ეს ის აუდიტის სამსახურია, რომელიც იმავე (წინასაარჩევნო) პერიოდში სადამსჯელო იარაღს წარმოადგენდა კონკურენტ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ბრძოლაში.

საპარლამენტო კომისიამ 2013 წლის მაისში დაასრულა აუდიტის სამსახურის შემოწმება, რის საფუძველზეც შედგა შესაბამისი ანგარიში, რომელიც ხსენებული საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის მიერ 26 ივნისს გაიტანეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. პარლამენტმა გაწეული სამუშაო დამაკმაყოფილებლად შეაფასა, არადა იქ ისეთ დარღვევებზეა საუბარი... სარევიზიო კომისიაში ვმუშაობდი 14 წელი და მსგავსი რამ არ მინახავს, არ გამიგონია...

— **ასეთი რა დარღვევებია?**

– კომისიის ანგარიშში რამდენჯერმე ნათლად არის აღნიშნული, რომ აუდიტის სამსახურის საქმიანობა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კუთხით ისეთი ხასიათის დარღვევებს შეიცავდა, რომელთა სამართლებრივი შეფასება აუცილებლად სამართალდამცავი ორგანოების მიერ უნდა მომხდარიყო.

ანგარიშში ვკითხულობთ: „კომისია თვლის, რომ კომისიის დასკვნა, დასკვნაში ასახული კანონდარღვევების სამართლებრივი შეფასების მიზნით, უფლებამოსილების მიხედვით განხილვისა და რეაგირებისათვის, წარედგინოს საქართველოს მთავარ პროკურატურას“. მასალები შეიცავს მრავალათასიანი ანაზღაურების ისეთ გაცემას, რომელსაც პირდაპირ შეიძლება საბიუჯეტო სახსრების მითვისების კვალიფიკაცია მიეცეს, მშენებლობების განხორციელების დროს გამოვლენილ მიწერის ფაქტებს და ა.შ. ჯამში, ასეულ ათასობით ლარის მოცულობის ფინანსური სახის დარღვევებზეა საუბარი.

მაგალითად, ჩატარებული „სარემონტო“ სამუშაოები, სადაც ერთი კვ.მ. ფართის რემონტი (არა მშენებლობა, არამედ რემონტი) დაჯდა 2800 ლარი. პრემიები გაიცემოდა შვებულებაში მყოფ ხალხზე. ასევე, პრემიები გაიცემოდა ხალხზე, რომლებიც პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთ ქალბატონს, რომელზეც სულ 3 საბუთია დაწერილი და პირველი საბუთი 2012 წლის 1-ელ მაისს ფიქსირდება, უკვე მარტსა და აპრილში გამოეწერა 6800 ლარის პრემია და უამრავი ასეთი ფაქტი.

გაგახსენებთ „ტელეიმედის“ თანამშრომელ ლაშა ხარაზიშვილის ისტორიას, რომელიც კონტროლის პალატაშიც მუშაობდა, იმავე დროს „ტელეიმედშიც“ და, საერთო ჯამში, ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 89000 ლარი. აი, ასეთი მასალები რეაგირების გარეშეა დატოვებული.

ჩვენ მივმართეთ აღნიშნულზე მთავარ პროკურატურას, ვინ დაბლოკა აღნიშნულ მასალებზე პარლამენტში რეაგირება და, ასევე, რომ თვითონ პროკურატურაც დაინტერესებულიყო ამ მასალებით. პასუხი პროკურატურიდან არ მიგვიღია, მით უმეტეს, რომ რამდენიმე თვეა გასული ჩვენი შეკითხვიდან.

— **ამ ეტაპზე რა ხდება კონტროლის პალატაში?**

– როგორც ვიცი, ძველი კადრები დააბრუნეს და კიდევ აბრუნებენ. ბევრი კადრი გაუშვეს და არაკომპეტენტური გარემო შეიქმნა. ხელმძღვანელი ისევ „ნაციონალების“ კადრია და საერთოდ რაზეა საუბარი...



**„მაღალ, შუა და დაბალ რგოლებში ძველი ხალხია დარჩენილი. ისინი ყველანაირად ხელს უშლიან ამ საქმეების წინ წამოწევას. ზემოთ კიდევ ვინც არიან, საქმე არ იციან. თითზე ჩამოსათვლელები არიან ისეთები, ვინც საქმე იცის. პროკურატურაში მარტო ხელმძღვანელობა გამოიცვალა, ქვედა დონეზე ძველი კადრები არიან შემორჩენილები და ისინი თავის ჩასვრილ საქმეს ხომ არ მოქექავენ?!“**



**„ამ საქმეების შეჩერებას ადეიშვილიც არ აიღებდა თავის თავზე, მე მგონია. მიშას დონეზე გადაწყდებოდა ეს საკითხი. ადეიშვილი აუცილებლად მიშას ჩააყენებდა საქმის კურსში. რა წერია ამ საქმეებში, ამას რომ თავი დაანებო, მარტო იმ თემაზე რომ იმუშაო, რატომ შეჩერდა ეს საქმეები, ხომ გავლენ ადეიშვილზე? ამ საქმეს რომ მიჰყვნენ, აუცილებლად მიაკვლევენ თანამშრომელს, რომელიც იტყვის, რომ ადეიშვილმა დაავალა ამა თუ იმ საქმის გვერდზე გადადება. საბოლოოდ კი ადეიშვილამდე მიხვალ, მაგრამ ამათ ეს არ უნდათ“**

**„პრემიები გაიცემოდა შვებულებაში მყოფ ხალხზე. ასევე პრემიები გაიცემოდა ხალხზე, რომლებიც პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთ ქალბატონს რომელზეც სულ 3 საბუთია დაწერილი და პირველი საბუთი 2012 წლის 1-ელ მაისს ფიქსირდება, უკვე მარტსა და აპრილში გამოეწერა 6800 ლარის პრემია და უამრავი ასეთი ფაქტი“**

**რა ეტაპზეა ზემოაღნიშნული საქმეების ძიება, ამ საკითხის გასარკვევად „ალია“ მთავარი პროკურატურის პრესცენტრს დაუკავშირდა. პრესცენტრმა გვითხრა:**

**— ჩვენს ხელთ არსებულ ელექტრონულ ბაზაში საქმეები მოვიძიეთ, მაგრამ არ მოიძებნა.**

რას მოძებნიდნენ? როგორც მამუკა ჩხეიძე აცხადებს: „ჩემი ინფორმაციით, ეს მასალა, პროკურატურაში არ იძებნება. მაშინ, ჩვენ, პროკურატურაში მასალებს რომ ვაგზავნიდით, მექანიზმი იყო ასეთი – ამ მასალებს წინ იდებდა ადეიშვილი, რომელიც საქმეებს თაროზე აწყობდა და შემდეგ, თავისივე თანაგუნდელების წინააღმდეგ იყენებდა, როგორც კომპრომატს და პოლიტიკურად აშანტაჟებდა. ალბათ, არ დატოვებდა პროკურატურაში“.

დიანა ლიპარტელიანი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## თელავის საკრებულოს დეპუტატს ფიზიკურად გაუსწორდნენ



27 აგვისტოს გვიან ღამით თელავის საკრებულოს დეპუტატს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ინციდენტი ქალაქის ცენტრში მოხდა. „გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრ ნიკა ვარდოშვილს შელაპარაკება სასტუმრო „ძველი თელავის“ მენეჯერთან მოუვიდა, სიტყვიერი დაპირისპირება კი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. დაპირისპირებაში მონაწილე ერთ-ერთი პირი აცხადებს, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა საკრებულოს დეპუტატმა მას უცენზურო სიტყვებით მიმართა, რაც ინციდენტის მიზეზი გახდა.

ნაცემი დეპუტატი თელავის რეფერალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდარი სასტუმროს სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირა. ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 125-ე მუხლით მიმდინარეობს. (ფრონტნიუსი)

## დარიალის ხეობაში გზა მთლიანად გაწმენდილია



დარიალის ხეობაში გზა ღვარცოფის შედეგად ჩამოტანილი ქვისა და კლდის მასის ჩამონაშალისგან მთლიანად გაწმენდილია. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განცხადებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მდინარე თერგის დაღრმავებისა და ბუნებრივ კალაპოტში დაბრუნების, ასევე, ნაპირსამაგრი და გზის აღდგენითი სამუშაოები. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილი უფროსი პასუხისგებაში მიეცა




საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოს კუთვნილი 508 310 ლარის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში დახმარებისთვის, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულ იქნა ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილი უფროსი პაატა აცინბა, ასევე, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს შპს „Teq ev inSaaT deqorasion TahhuT iC ve diS TijaraT limiTed SirqeTis“ დირექტორი ჰალილ ექში და ტექნიკური დირექტორი გიორგი ოდიშვილი.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2012 წლის 18 მაისს აღნიშნულ შპს-სა და ბათუმის მერიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება 2 749 988 ლარზე, ბათუმში ნინოშვილის ქუჩის გასწვრივ სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციებით მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად, რა დროსაც, საწარმოს ხელმძღვანელი პირების მიერ წარდგენილ იქნა ყალბი შესრულებული სამუშაოების აქტები, თითქოსდა მათ მიერ შესრულებული იყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაზეც ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა პაატა აცინბამ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული აქტების სიყალბე, ბოროტად გამოიყენა თავისი უფლებამოსილება და ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურს მიმართა წერილობით ხსენებული კომპანიის დაფინანსების შესახებ, ამის სანაცვლოდ, კომპანიის ხელმძღვანელ პირთა მიერ აცინბასთვის უსასყიდლოდ იქნა გადაცემული სხვადასხვა დასახელების საშენი მასალები. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული კომპანიის მიერ, ფაქტობრივად, შესრულებული სამუშაოების ღირებულება 508 000 ლარით ნაკლებია შემსყიდველისთვის წარდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტებში ასახული სამუშაოების ღირებულებაზე.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქ/პუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-იდან 9 წლამდე ვადით. (რეპორტიორი)

# ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა მანამდე მომხდარ დიდ დანაშაულს უკავშირდება?



ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმე კვლავ ბურუსითაა მოსილი. პროკურატურა ახალს არაფერს ამბობს ამ საქმესთან დაკავშირებით. ახალსა და კონკრეტულს არც ოჯახის წევრები აცხადებენ რაიმეს. ჯერ ისიც გასარკვევია, მოკლეს ეროსი თუ თავი მოიკლა. რატომ დასჭირდა ოჯახს, ინიციატივა გამოეჩინა და გამოძიებისთვის ამგვარი თხოვნით მიემართა? აქვე გავიხსენოთ, რომ სწორედ ოჯახის თხოვნით მოხდა ამავე მეთოდით, ულტრაიისფერი სხივებით სრულ სიბნელეში იმ ავტოფარეხის დათვალიერება, სადაც კიწმარიშვილი საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. ამ ექსპერტიზას კონკრეტული შედეგიც მოჰყვა – ავტოსადგომში ქსოვილის დეტალი, მიკროსკოპული ზომის ძაფის ნაგლეჯი იპოვეს.

ექსპერტებს, უკვე მეორედ უწევთ პროკურატურისთვის თხოვნა, რომ ექსპერტიზა ჩაატარონ. ძალაუნებურად, გიჩნდება ეჭვი, რომ, ჯერ ერთი, კიწმარიშვილის ოჯახი ბოლომდე არ ენდობა გამოძიებას, თუმცა ამას არ აცხადებს. სხვაგვარად ძნელია იმის ახსნა, რატომ ცდილობენ კიწმარიშვილის ოჯახის წევრები, გავლენა მოახდინონ საგამოძიებო პროცესზე. ოჯახს უკვე მეორედ მოუწია იმ საკითხის დაყენება გამოძიების წინაშე, რაც, ყველანაირი კანონითა და ლოგიკით, გამოძიებას უკვე გაკეთებული უნდა ჰქონოდა.

ზურაბ კიწმარიშვილი ერთ მეტად საგულისხმო რამეს ამბობს. მისი თქმით, ამ თვალით უხილავმა ექსპერტიზამ, შესაძლოა, ის გაარკვიოს, ეროსი კიწმარიშვილის მანქანაში იჯდა თუ არა სხვა პიროვნებაც, ცხადია, იმ დროს, როცა ეროსი გარდაიცვალა. ერიჰაა! მე მეგონა, გამოძიება უკვე ბოლოში იყო გასული და კიწმარიშვილის მკვლელობას დღე-დღეზე გახსნილად გამოაცხადებდნენ და ჯერ თურმე ისიც ვერ გაურკვევიათ, გარდაცვალების მომენტში ეროსი მარტო იყო თუ არა.

„ალია“ შეეცადა, ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებით, ახალი დეტალები გაერკვია. რადგან ამ ეტაპზე ყველა ოფიციალური წყარო დახშულია, სხვა გზა აღარ დამრჩა და ეროსის მეზობლებს ვკითხე, ახალი ხომ არაფერი სმენოდათ მეზობლის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების შესახებ. უნდა ითქვას, რომ მეზობლები გაცხოველებული ინტერესით ჩემგან ელოდნენ ამ საკითხზე რაღაც ახალ ინფორმაციას. თუმცა, ეროსი კიწმარიშვილის ეზოდან ხელცარიელი მაინც არ წამოვსულვარ. ორი მეტად საყურადღებო ამბავი შევიტყვე და გამოძიების დასასრულს გაირკვევა, რამდენად სარწმუნო ინფორმაციები მომაწოდეს მეზობლებმა. ეროსი კიწმარიშვილის კორპუსის ეზოში, ვაკეში, ჭავჭავაძის 37-ში მდებარე ერთ-ერთი მომსახურების ობიექტის თანამშრომელმა მითხრა, რომ გავრცელდა ხმები, თითქოს ეროსის მანქანაში ნაპოვნი მასრა, იმ იარაღიდან არის ნასროლი, რომელიც ეროსის მანქანაში იპოვეს და რომელიც მკვლელობის დღეს – 15 ივლისს შეიძინა იარაღის მაღაზია „დიანაში“. შეგახსენებთ, რომ ეს იარაღი არის „ჩეზე-75“. აქამდე ოფიციალურად მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ამ იარაღს ერთი ტყვია აკლდა და ერთიც შეყენებული იყო – გასასროლად გამზადებული, მჭიდში კი კიდევ 5 ტყვია იდო. მეორე საგულისხმო ინფორმაცია კი ასეთია – ერთ-ერთი მეზობელი აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილის, სავარაუდოდ, მკვლელობა, სხვა, უფრო დიდი და მასშტაბური დანაშაულის გაგრძელებაა, მისი ერთი რგოლია, ეროსის იმ დანაშაულთან ჰქონდა კავშირი და შესაბამისად, მოკლეს, მოწმე მოიცილეს თავიდან. მეზობელმა ისიც მითხრა, რომ იმ „დიდ დანაშაულსაც“ მთავარი პროკურატურა იძიებს და რამდენიმე ცნობილ ადამიანს დაიჭერენო. მეზობელი ვერ აკონკრეტებს და ბუნდოვანია, რა კავშირი ჰქონდა კიწმარიშვილს ამ დიდ და მნიშვნელოვან დანაშაულთან.

ეს ორი, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ალიამ“ ეროსი კიწმარიშვილის ადვოკატ გაგი მოსიაშვილთან და ექსპერტ-ბალისტიკოსთან, ზაზა ალთუნაშვილთან გადაამოწმა. ცხადია, უმცირესი იმედიც არ მქონდა, რომ რომელიმე მათგანი დამიდასტურებდა ერთ-ერთს მაინც, მაგრამ, რადგან არსებობს უპასუხო კითხვები, ისინი უნდა დაისვას:



**„სწორედ ოჯახის თხოვნით მოხდა ამავე მეთოდით, ულტრაიისფერი სხივებით სრულ სიბნელეში იმ ავტოფარეხის დათვალიერება, სადაც კიწმარიშვილი საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. ამ ექსპერტიზას კონკრეტული შედეგიც მოჰყვა — ავტოსადგომში ქსოვილის დეტალი, მიკროსკოპული ზომის ძაფის ნაგლეჯი იპოვეს“**

მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე, თვითმკვლელობის ვერსიას უმცირესი საფუძველიღა შერჩა, სს საქმე ისევ 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც პიროვნების თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე, დუმილს ამჯობინებენ ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის ადვოკატი, გაგი მოსიაშვილი და ოჯახის მიერ საქმეში ჩართული ექსპერტები – ბალისტიკოსი ზაზა ალთუნაშვილი და სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი. მათ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კონკრეტულ დეტალებზე საჯაროდ საუბრის უფლება არ აქვთ. მართალია, ისინი კომენტარებზე უარს არასდროს აცხადებენ, მაგრამ მნიშვნელოვანსა და ფასეულს, იმას, რაც საზოგადოებას აინტერესებს ამ საქმესთან დაკავშირებით, ვერაფერს ვერ ამბობენ.

ერთადერთი მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის წევრები, გარდაცვლილის მანქანის ხელახალ ექსპერტიზას ითხოვენ. ეროსის ძმა, ზურაბ კიწმარიშვილი აცხადებს, რომ კრიმინალისტიკური ტექნიკის გამოყენებით, ე.წ. თვალით უხილავი კვალის შემოწმება უნდა მოხდეს. მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვა, მანქანა ულტრაიისფერი სხივებით უნდა დაათვალიერონ და თუ რაიმე კვალი გამორჩა ექსპერტიზას, კვალს აღმოაჩენენ.

საინტერესოა, რატომ არ ჩაატარა გამოძიებამ ამგვარი ექსპერტიზა და როგორც ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა „ალიას“ განუცხადა, ამ დეტალის პოვნამ, პირადად მისთვის, ეროსი კიწმარიშვილის საქმე კიდევ უფრო ჩახლართა და დამატებითი კითხვები გაუჩინა. მოკლედ, ეროსი კიწმარიშვილის ოჯახსა და მათ

**თავდაპირველად გაგი მოსიაშვილს დავურეკე:**

**— ბატონო გაგი, მართალია, ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგები არ გახმაურებულა, მაგრამ შევიტყვე, რომ მასრა, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის მანქანაში იპოვეს, მისივე იარაღიდან არის გასროლილი „ჩეზე-75“-დან. თქვენ ხომ არაფერი იცით ამის შესახებ?**

– ასე გადაჭრით ამის თქმა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

**— ბალისტიკური ექსპერტიზის**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ცე“ ჰეპატიტის პროგრამაში ჩართულმა პატიმრებმა მკურნალობა სრული განკურნებით დაასრულეს



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის, არჩილ თალაკვაძის განცხადებით, პროგრამაში ჩართულ 7 პაციენტს ლაბორატორიული ტესტების პასუხები ექიმებმა უკვე გადასცეს, სადაც ჩანს, რომ „ცე“ ჰეპატიტის ვირუსისგან სრულად განიკურნენ.

„წინასწარი მონაცემებით, ანალოგიური შედეგები აქვს კიდევ 70 პაციენტს, რომლებიც მკურნალობას ოფიციალურად მომდევნო კვირაში დაასრულებენ. უახლოეს თვეებში მკურნალობას კიდევ 216 პაციენტი დაასრულებს, ხოლო წლის ბოლომდე მკურნალობაში 500 პაციენტი ჩაერთვება. ამ მომენტისთვის განკურნების მაჩვენებელი 96%-ია“, – განაცხადა თალაკვაძემ.

(ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...



## ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის პრემიერის მადლობის წერილი მიიღო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის პრემიერ- მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსგან მადლობის წერილიმიიღო.

წერილი ირაკლი ღარიბაშვილს ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა პირადად გადასცა.

ნეთანიაჰუ ქართველ კოლეგას მადლობას უხდის იმ თანაგრძნობისა და თანადგომისათვის, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა ბოლო პერიოდში ისრაელში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოხატა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ისრაელის ელჩმა ორი ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს, ასევე განიხილეს უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული დეტალები და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

იუვალ ფუქსმა საქართველოს მთავრობის მეთაურს ისრაელის მთავრობის სახელით თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო-ისრაელის მეგობრული ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. (droni.ge)

*მეცხრე გვერდიდან*

**შედეგები დიდი ხანია, ცნობილია, მაგრამ ჯერ არ ასაჯაროებენ. ცხადია, ეს სხვადასხვა ვერსიებს წარმოშობს და ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება. ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობ, მალე გამოძიებაც ამავეს დაადასტურებს უკვე ოფიციალურად.**

– მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ცალკე აღებული რომელიმე ექსპერტიზის პასუხს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. 16 სხვადასხვა ექსპერტიზაა დანიშნული ამ საქმესთან დაკავშირებით, ცალკე აღებული, თუნდაც ბალისტიკური ექსპერტიზა, რეალურ პასუხს არ იძლევა. ამიტომ უნდა მოხდეს ყველა საექსპერტო დასკვნის კომპლექსური შეჯერება და ამის შემდეგ, რაღაც კონკრეტული გამოიკვეთება. დღეის მდგომარეობით, სამართლებრივადაც დაუსაბუთებელია, ჩემგან ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება.

**— კიდევ ერთი ასეთი ინფორმაცია მაქვს. თითქოს, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა დაკავშირებულია დიდ და მასშტაბურ დანაშაულთან. პროკურატურა კი, ეროსის საქმის დეტალებს სწორედ იმ მეორე დანაშაულის გამო არ ახმაურებს, რომ გამოძიებას ხელი არ შეეშალოს. ამაზე რას იტყვით?**

– ნებისმიერი სახის ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს და მოისმინოს პიროვნებამ, ნებისმიერი ვერსია შეიძლება განიხილებოდეს. დღეს ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს, არ არის სამართლებრივად გაჯერებული მტკიცებულებები, აქედან გამომდინარე, ცოტა რთულია იურისტის მხრიდან, თქვენ მიერ დასმულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩვენ სამართლებრივი არგუმენტაციით ვხელმძღვანელობთ, ამ ეტაპზე მეტის თქმა ნამდვილად არ შემიძლია.

**— ზურაბ კიწმარიშვილი მანქანის ხელახალ ექსპერტიზას მოითხოვს. ის აცხადებს, რომ ამ ექსპერტიზით, სხვა დეტალებთან ერთად, სავარაუდოდ, უნდა გაირკვეს, ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების დროს, მის ავტომობილში იჯდა თუ არა სხვა პიროვნება. უკვე ერთ თვეზე მეტი გავიდა და თუ გამოძიებას ჯერ ისიც ვერ გაურკვევია, მანქანაში მეორე პიროვნება იყო თუ არა, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ ვერ დაუდგენია, მთლად კარგად ვერ ყოფილა ამ საქმის გამოძიების ამბავი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ზერელედ ხდება საქმის გამოძიება და ზურაბ კიწმარიშვილის გადაწყვეტილება, მანქანას ხელახალი ექსპერტიზა ჩაუტარდეს, სწორედ ამით არის გამოწვეული?**

– არა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გამოძიებამ რაღაც ექსპერტიზა არ დანიშნა ან გულგრილად მოეკიდა საგამოძიებო მოქმედებას. ოჯახის თუ იმავე ზურას მხრიდან მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარება, ემსახურება ერთ მიზანს – ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, სხვას არაფერს.



გაგი მოსიაშვილი

„ალია" ახალ გარემოებებზე **ზაზა ალთუნაშვილსაც** დაუკავშირდა:

**— ბატონო ზაზა, ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხი ამდენ ხანს რატომ არ ქვეყნდება?**

– ეგ გამოძიების პრეროგატივაა, პროცედურულად მეკრძალება, ხელწერილს ვდებ და მეკრძალება ამ ინფორმაციის გახმაურება.

**— გავიგე, რომ მასრა, რომელიც ეროსი კიწმარიშვილის მანქანაშია ნაპოვნი, კონკრეტულად კი ე.წ. სტოიკების ძირში აღმოჩნდა, იმ იარაღიდან არის ნასროლი, რომელიც გარდაცვლილს ეკუთვნოდა.**

– აბა, მე რომ ამ კითხვაზე გიპასუხოთ, გამოდის, რომ საგამოძიებო საიდუმლო გავამჟღავნე. ვერ გეტყვით ვერაფერს ამის შესახებ.

**— ის მაინც არ იცით, გამოძიება როდის გაასაჯაროებს თუნდაც მხოლოდ ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხს?**

– შეიძლება გამოძიებამ სასამართლო პროცესამდე არც გაახმაუროს ეს დასკვნა. ეს გამოძიების პრეროგატივაა და არც კანონი ავალდებულებს, გამოძიების დასრულებამდე რაიმე ინფორმაციის გახმაურებას.

**— ბატონო ზაზა, ჩემი ინფორმაციით, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა სხვა, დიდი დანაშაულის გაგრძელებაა და გამოძიება სწორედ ამის გამო არ ახმაურებს გამოძიების დეტალებს. ამის შესახებ რას იტყვით?**

– მე მაგ ინფორმაციებზე ხელი არ მიმიწვდება, ჩემი მოვალეობა ის არ არის, რომ რაღაც გარემოებები დავადგინო, რაღაც გარემოებები გამოვრიცხო. მე ბალისტიკის ექსპერტი ვერ, კონკრეტული საქმე მქონდა და ის გავაკეთე, დანარჩენი გამოძიების საქმეა.



ზაზა ალთუნაშვილი

ამ რამდენიმე დღის წინ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ბაჩო ახალაიას ადვოკატმა რომეო საჯაიამ სკანდალური, მაგრამ მეტად უსაფუძვლო განცხადება გაავრცელა. ასეთ, პოლიტიკურად მოტივირებულ სკანდალებს, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია. რომეო საჯაია როლანდ ახალაიას მარჯვენა ხელი, ბაჩო ახალაიას ადვოკატი და „ნაცმოძრაობის" მრავალი დაკვეთის შემსრულებელი რომ არ იყოს, მის ამ განცხადებას ფასი დაედებოდა. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ რომეო საჯაია ადვოკატურას თავშეფარებული ის პროკურორია, რომელიც როლანდ ახალაიას არაერთ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს და შესაძლოა, მალე მის წინააღმდეგაც აღიძრას საქმე. მოკლედ, რომეო საჯაია აცხადებს, რომ ეროსი კიწმარიშვილი ბარბარე რაფალიანცის საქმესთან დაკავშირებით განცხადების გაკეთებას აპირებდა და, შესაძლოა, იმიტომ მოკლეს. მისი თქმით, ბარბარე რაფალიანცის საქმის დაგეგმვას ესწრებოდნენ პროკურორის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და ეროსი კიწმარიშვილი.

„ჩვენი ინფორმაციით, ნაცვლიშვილი და კიწმარიშვილი იყვნენ წინააღმდეგი რაფალიანცის საქმის განხორციელების. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს მაინცდამაინც ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობას უკავშირდება, მაგრამ არის ძალიან ცუდი ნიშნები – ისე უცებ, პროფესიონალურად არის შესრულებული მკვლელობა, რომ ოჯახსაც კი უჭირს რეალური ვერსიის დადგენა. შესაძლებელია, ეროსი კიწმარიშვილი აპირებდა ამის თქმას და ეს იქნებოდა ძალიან დამაზიანებელი, გამოიწვევდა ხელისუფლების მოშლას, ამ მთავრობის გადაგდებას. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების", – აცხადებს საჯაია.

ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმით დიდი ხანია სპეკულირებენ „ნაციონალები" და რომეო საჯაიას ეს განცხადებაც ამ ფილმის ერთ-ერთი სერიაა. შეიძლება ითქვას, საჯაიამ და მისმა მმართველმა „ნაციონალებმა" მიზანს ააცილეს, რადგან საზოგადოებამ, რაც ზემოთ წაიკითხეთ, სერიოზულად არ მიიღო და მეორე დღესვე დაივიწყა ეს ამბავი. ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა ბარბარე რაფალიანცის საქმესთან კავშირში რომ ყოფილიყო, „ნაციონალებს" ამის დამადასტურებელი თუ არა, რაღაც ხელმოსაჭიდი რომ ჰქონოდათ, დამეთანხმებით, ეს თემა „ნაციონალთა" კონტროლირებადი მედიიდან არ ჩამოვიდოდა. რომეო საჯაიას ვერსია იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ „რუსთავი 2"-მაც კი მხოლოდ ერთი სიუჟეტი მიუძღვნა, მხოლოდ იმ დღეს, როცა ადვოკატმა ბრიფინგი გამართა. თუმცა, „ალია" მაინც შეეცადა, გაერკვია, ჰქონდა თუ არა საფუძველი რომეო საჯაიას ვერსიას.

ამ საკითხთან დაკავშირებით, პირველად ეროსი კიწმარიშვილის ოჯახის ადვოკატს, გაგი მოსიაშვილს ვკითხეთ, რომელმაც მოკლედ გვიპასუხა: „ამ ეტაპზე ამის დასაბუთებული ვარაუდი ნამდვილად არ არსებობს. გამოძიების ვალდებულებაა, ყველანაირი ვერსია განიხილოს, ვიდრე ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს".

რომეო საჯაიას ვერსიის მიხედვით, გამოდის, რომ ეროსი კიწმარიშვილი 2012 წლის არჩევნების წინ, კოალიცია „ქართული ოცნების" რიგებში იმდენად მიღებული პირი იყო, რომ არჩევნებში გამარჯვების ტაქტიკის საკითხებში ჭკუასაც ეკითხებოდნენ. შესაბამისად, კოალიციის ლიდერებთანაც უნდა ჰქონოდა მჭიდრო კავშირი. ამის გარკვევას კი „ქართული ოცნების" დეპუტატთან, ანი მიროტაძესთან შევეცადეთ.

**— ანი, 2012 წლის არჩევნების წინ ეროსი კიწმარიშვილს საერთოდ ჰქონდა შეხება „ქართულ ოცნებასთან"?**

– არა, რას ამბობ, არანაირი შეხება ეროსი კიწმარიშვილს „ქართულ ოცნებასთან" არ ჰქონია. არც თვალი მომიკრავს მისთვის ჩვენს ოფისში და არც კოალიციის არც ერთ წევრთან საარჩევნო საკითხებზე ურთიერთობა არ ჰქონია. შესაძლოა, პიროვნული ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი კოალიციის წევრებთან, ეროსი ბევრ ადამიანს ახლოს იცნობდა ჩვენი კოალიციიდან, მაგრამ გამორიცხულია, რომ კიწმარიშვილს „ქართული ოცნების" საარჩევნო პროცესთან კავშირი ჰქონოდა. ამგვარი რამ რომ ყოფილიყო, აუცილებლად მაცოდინებოდა.

**ლევან ჯავახიშვილი**

577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პოლიციელებმა თბილისში ავარიისას დაშავებულები გადაარჩინეს



საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. შსს-ს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნინო გიორგობიანის განცხადებით:

„გორგასლის ქუჩაზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს დიდი სიჩქარით მომავალმა ჯიპმა ჩაუარა, ეკიპაჟის თვალწინ ავტომანქანა გზის საპირისპირო ზოლში გადავიდა, ხეს შეეჯახა და მანქანის ძარას ცეცხლი წაეკიდა. ავტომანქანაში 4 ადამიანი იმყოფებოდა. ეკიპაჟის წევრები ეკა ერაძე და მისი მეწყვილე ლევან შენგელია სწრაფად მივიდნენ ავტომანქანასთან, სადაც 3 მგზავრი უგონო მდგომარეობაში დახვდათ. ეკა წინა კარის გახსნას შეეცადა, თუმცა ის შეჯახების შედეგად დეფორმირებული იყო. მან ჯერ სალონის უკანა სავარძელზე მყოფი ორი დაშავებული მოქალაქე გადმოიყვანა, ხოლო შემდეგ წინა კარის ფანჯრიდან მეწყვილესთან ერთად შეძლო უგონოდ მყოფი მოქალაქის გამოყვანა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა სამივე მგზავრის გადარჩენა მოახერხეს და ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტმა ოთარ გურგენაშვილი გარდაცვალების შემდეგ მედლით დააჯილდოვა



გიორგი მარგველაშვილმა ოთარ გურგენაშვილი, გარდაცვალების შემდეგ, მედლით „სამოქალაქო თავდადებისთვის" დააჯილდოვა.

„სამაგალითო სამოქალაქო თავდადების, განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სიმამაცის გამოვლენისთვის ოთარ გურგენაშვილი დაჯილდოვდეს მედლით „სამოქალაქო თავდადებისთვის" (სიკვდილის შემდეგ)", – ნათქვამია პრეზიდენტის განკარგულებაში.

21 წლის ოთარ გურგენაშვილი გასულ თვეს რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე მომხდარ ავტოავარიას ემსხვერპლა, როდესაც მან მცირეწლოვანი ბავშვი გადაარჩინა სიკვდილს. (ინტერპრესნიუსი)

## ქუთაისის ავტობუსის მძღოლები გაფიცვას აგრძელებენ




ქუთაისში მეორე დღეა, რაც ავტობუსის მძღოლები გაფიცულები არიან. როგორც მძღოლები აცხადებენ, ისინი მუშაობის გაგრძელებას არ აპირებენ.

„მუშაობა მხოლოდ ერთი მიზეზით შევწყვიტეთ, რომ კიდევ უფრო მეტი ვალები არ დაგვიგროვდეს. რასაც ვშოულობთ, ტრანსპორტის შესანახად არ გვყოფნის და ოჯახებს რა ვუყოთ?" – აცხადებენ მძღოლები.

როგორც გაფიცულები ამბობენ, სამსახურს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდებიან, თუკი დამსაქმებელი კომპანია მათ საწვავს შეღავათიან ფასებში მიაწვდის და მგზავრობის ღირებულება 30 თეთრიდან 40 თეთრამდე გაიზრდება. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რატომ ჩავიდა მიხეილ სააკაშვილი ანკარაში და ვისთან გამართავს კონსპირაციულ შეხვედრას 29 აგვისტოს?!

28 აგვისტოს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ახლად არჩეული პრეზიდენტის, რეჯეფ ტაიპ ერდოღანის ინაუგურაცია გაიმართება. ბოლო ორი დღის განმავლობაში სავარაუდო სიაც გამოქვეყნდა, რომელი სახელმწიფოების ლიდერები არიან მიწვეულები ინაუგურაციაზე. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მოსაწვევები გაუგზავნეს ბარაკ ობამასა და ვლადიმერ პუტინს. რაც შეეხება ქართულ მხარეს, გადაწყდა, რომ ინაუგურაციას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრება. მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ, როგორც უკვე იცით, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია და ისევ დაიწყო საუბრები, რომ წესით, თურქეთში გამგზავრება პრეზიდენტ მარგველაშვილს ეკუთვნოდა, მაგრამ ირაკლი ღარიბმაია ფანჯიკიძის თქმით, პრემიერობის პერიოდში ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთში არ ყოფილა და სწორედ ამიტომ მიემგზავრება პრეზიდენტის ინაუგურაციაზე.

ეს კიდევ არაფერი, „ალიას“ მიერ მოპოვებული კულუარული ინფორმაციის თანახმად, ანკარაში მიხეილ სააკაშვილიც ჩავიდა. მართალია, მას არც მოსაწვევი ექნება და არც რომელიმე ყოფილ მეგობარს დაუპატიჟებია, მაგრამ, როგორც სჩვევია, არც ამ მომენტს უშვებს ხელიდან. ჯერ არავინ იცის, სააკაშვილი მოახერხებს თუ არა ერდოღანის ინაუგურაციაზე დასწრებას, გაშანსავს თუ არა უბრალო „ბილეთის“ შოვნას მაინც, მაგრამ ლიფტთან და ტუალეტის კართან ჩასაფრებას წინ რაღა უდგას? მით უმეტეს, თუ ანკარაში ბარაკ ობამაც ჩავა, მაშინ მისთვის ნამდვილად ღირს ჩასაფრებითი ოპერაციების მოწყობა. მთავარია, სააკაშვილი წამყვანი სახელმწიფოების ლიდერებთან ერთად კადრში მოხვდეს, ესეც დიდი პიარი იქნება მისთვის.



**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია: 29 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილს დაგეგმილი აქვს, ანკარაში კონსპირაციულად შეხვდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს. თბილისიდან უკვე გაემგზავრნენ ნუგზარ წიკლაური, გოკა გაბაშვილი, აკაკი მინაშვილი, დავით ბაქრაძე და გია ბარამიძე. „ალიამ“ ეს ინფორმაცია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერთან, პარლამენტარ ირმა ნადირაშვილთან გადაამოწმა და აღმოჩნდა, რომ სრული სიმართლეა:**

**— ირმა, გამარჯობა, როგორც გავიგე, 29 აგვისტოს „ნაციონალების“ დელეგაცია თურქეთში გაემგზავრა, სადაც სააკაშვილს შეხვდება. ეს სიმართლეა?**

– კი დეპუტატების ნაწილი მიდის... შემდეგი კითხვაა, ალბათ, რატომ მიდიან, ხომ?

**— ერდოღანის ინაუგურაცია 28 აგვისტოსაა, რატომ 29-ში? და მართლაც, რატომ, მართლა სააკაშვილთან აქვთ შეხვედრა?**

– დიახ, მიდიან პარტიის მოქმედ თავმჯდომარესთან საკონსულტაციოდ, ამიტომ ის დღე შეარჩიეს, რომელიც აწყობდათ.

**— პარტიის მოქმედ თავმჯდომარეში სააკაშვილს გულისხმობ?**

– კი.

**— მიხეილ სააკაშვილი ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრება?**

– ჩემი აზრით, კი, დაესწრება... ჩემი ვარაუდია, რომ კი.

**— იქნებ ისიც დამიზუსტო, აქედან ვინ წავიდნენ? აკო მინაშვილი და ნუგზარ წიკლაური ვიცი.**

– მე მგონი, გოკაც... ჩვენს ტელეფონებს კარგად უსმენენ, ჩემი აღტაცება ჰაკიმს!

**— რატომ, ეს საიდუმლო შეხვედრა უნდა ყოფილიყო?**

– არა, მაგრამ საჯარო „სთეითმეტიც“ არ გაგვიკეთებია... ანუ საიდან გაიგე?

**— წყაროს ვერ დავასახელებ.**

– არცაა საჭირო.

**— თქვენ მიერ მიღებული კანონის მიხედვით, ამის უფლება მაქვს.**

– კიდევ კარგი, ეგ კანონი მივიღეთ.

მართალია, ირმა ნადირაშვილი „ალიასთან“ კონკრეტულ საკითხებზე არ საუბრობს, ანუ არ ამბობს, რა კონსულტაციები უნდა ჩაუტაროს მიხეილ სააკაშვილმა „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას აპირებს პარტიის მოქმედი თავმჯდომარე. რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი თავის ხელქვეითებს დამოძღვრავს, როგორ უნდა მოიქცნენ, თუკი მის წინააღმდეგ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს. როგორ უნდა იმუშაონ ქვეყნის შიგნით, როგორ არიონ სიტუაცია არა მხოლოდ საინფორმაციო თვალსაზრისით, არამედ ფიზიკურადაც – აქ იგულისხმება „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის მიერ მოწყობილი აქციები და საინფორმაციო ომი („თავისუფალი ზონა“). რა თქმა უნდა, გასაძლიერებელია მუშაობა და დასაგეგმია პროვოკაციები იმ ფონზე, როცა „ენდიაის“ ყავლგასული დირექტორი, ლუის ნავარო დავით ბაქრაძის რეიტინგს მოქმედი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის რეიტინგს უთანაბრებს, ხოლო ირაკლი ალასანიას რეიტინგს ისე სწევს მაღლა, ირაკლი ღარიბაშვილს ასწრებს. ამას მოსდევს ამერიკის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადება, თურმე მისი აზრით, საქართველოში ყოველ წუთს არის მოსალოდნელი კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ქართველი ხალხის დიდ ნაწილს სძულს, გარე ძალები და შიდა მოღალატეები მაინც ამზადებენ საფანელს, რათა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მიხეილ სააკაშვილი რაიმე ფორმით მაინც დაბრუნდეს საქართველოში და დაიწყოს რევანშისტული გამოსვლები.



„ახლა ღარიბაშვილი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რათა სააკაშვილმა რაიმე შარში არ გახვიოს. რა თქმა უნდა, ის არ შეხვდება, მაგრამ მაინც სიფრთხილეა საჭირო“

მოკლედ, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ვინაიდან სააკაშვილს თავის დროზე ერდოღანთან ურთიერთობა ჰქონდა, არ არის გამორიცხული, ინაუგურაციაზე დასწრება მოახერხოს, საინტერესო იქნება 29 აგვისტოს კონსპირაციული შეხვედრის დეტალებიც.

როგორც ინკოგნიტო წყარო ატყობინებს „ალიას“, ალბათ, მიხეილ სააკაშვილი ეცდება, ანკარაში ჩასულ ირაკლი ღარიბაშვილსაც გადაეყაროს სადმე, ან კიდევ რომელიმე საერთო ნაცნობი გამონახოს და მისი საშუალებით დაელაპარაკოს, ხოლო შემდეგ გააპიაროს, ღარიბაშვილს შევხვდიო და რას იბოდიალებს, კაცმა არ იცის.

„მარგველაშვილს დღესაც მწარედ ახსოვს, უკრაინაში მიშა სააკაშვილს რომ შეახვედრეს და შემდეგ საიდუმლო აღარ შეუნახეს, მეორე დღესვე „გაუბაზრეს“. მარგველაშვილს ურჩევნია, ნატოს სამიტზე წავიდეს უელსში და სააკაშვილთან კიდევ ერთ შეხვედრას თავი აარიდოს. ალბათ, მას ძალიან ბევრი აქვს სალაპარაკო ყოფილ პრეზიდენტთან, მაგრამ ერთი „გაბაზრებაც“ და წასულია მისი საქმე. ახლა ღარიბაშვილი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რათა სააკაშვილმა რაიმე შარში არ გახვიოს. რა თქმა უნდა, ის არ შეხვდება, მაგრამ მაინც სიფრთხილეა საჭირო“.

**რედაქციისგან:** შეხვდება თუ არა ღარიბაშვილი სააკაშვილს, რთული სათქმელია, მაგრამ რატომ შეიძლება სურდეს სააკაშვილს შეხვედრა? განვიხილოთ ორი ვერსია:

პირველი – რა საუბარიც არ უნდა შედგეს, სააკაშვილმა ისეთი ჭორები გაავრცელოს, რომ ღარიბაშვილს თავის მართლება მოუწიოს, რაც გამორიცხულია, თუკი პრემიერი ამ შეხვედრის ფაქტს არ დამალავს და ღიად ისაუბრებს იმ საკითხებზე, რაზეც სააკაშვილს ელაპარაკა.

მეორე – შეიძლება სააკაშვილს ღარიბაშვილისგან ხელშეუხებლობის გარანტიების მიღება სურდეს. რის სანაცვლოდ? გაურკვეველია, მაგრამ ესაც გამორიცხულია, დაუჯერებელია, რომ პრემიერი, რომელმაც პროკურატურას მისი დანაშაულების გამოძიება და დაკავება დაავალა, სიტყვა უკან წაიღოს და ხელშეუხებლობაზე დაუწყოს საუბარი.

საერთაშორისო სამართალში ამაზე რა წერია არ ვიცით, მაგრამ, ყველაზე კარგი ის იქნება, თუკი შიდა ძებნაზე გადაცემული სააკაშვილი ღარიბაშვილის ახლომახლო სადმე გამოჩნდება, პრემიერმა თავის დაცვას მისი დაკავება დაავალოს და სპეცრეისით ჩამოიყვანოს. სხვა თუ არაფერი, ყოფილი შს მინისტრია და რა როგორ უნდა გააკეთოს, კარგად ეცოდინება...

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანია მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობაზე საუბრობს



დავით ნარმანიას ინფორმაციით, თბილისის ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში თანხების სიმცირეა. დედაქალაქის მერი არსებულ კრიზისს მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს უკავშირებს და მათი პასუხისმგებლობის შესაძლებლობაზე საუბრობს.

„ისეთი მძიმე მდგომარეობა დაგვხვდა ბიუჯეტში, რომ ბიუჯეტი იქნება დეფიციტური და ჩვენ დაახლოებით 25 მილიონ ლარამდე თანხის სესხება მოგვიწევს. ამაზე გვქონდა კომუნიკაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ მოგვცენ თანხმობა შესაბამის სესხებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, ბიუჯეტის პროექტი დგება მერიაში და იმათ უნდა მოეთხოვოს პასუხი, ვინც არარეალურად მაღალი პროექტები დაგეგმეს“, – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინიდან საქართველოში შესაძლოა, 100 პაციენტი ჩამოიყვანონ



27 აგვისტოს გამთენიისას უკრაინაში გაემგზავრა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო. სამდღიანი ვიზიტის მიზანი დაჭრილებისა და დაზარალებულთა მკურნალობაში დახმარებაა. მინისტრის განცხადებით, დაგეგმილია შეხვედრები, რის შემდეგაც გაიწერება დეტალური გეგმა თუ კონკრეტულად რით შეუძლია საქართველოს უკრაინისთვის დახმარების გაწევა.

ასევე, არ გამოირიცხება საქართველოში დაახლოებით 100 პაციენტის ჩამოყვანა და მათი მკურნალობა.

„დაგეგმილია შეხვედრები უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროში. ამოცანა იქნება, ადგილზე შეფასდეს საჭიროებები, კონკრეტულად რა სახის დახმარება შეგვიძლია აღმოვუჩინოთ უკრაინელ ხალხს. იქნება შეხვედრები უკრაინის მთავრობაში“, – განაცხადა სერგეენკომ. (ნიუპოსტი)

# ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიანდება

„ენდიაის“ დასკვნაში „ნაცმოძრაობის“ 11%-იანი რეიტინგის შემდეგ, „ლეიბორისტებს“ 3% უწერიათ, ბურჯანაძის კოალიციასა და „პატრიოტთა ალიანსს“ — 2-2%, ხოლო პარტიები, რომლებიც ათეულობით წელია, პოლიტიკაში არიან, კვლევებში ვერ მოხვდნენ და მათი ხსენებაც კი არ არის.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ისინი საერთოდ არ ჩანან და, ალბათ, ამითაცაა განპირობებული მათი ურეიტინგობა, მაგრამ ყველა დროში საზოგადოებრივი დაკვეთა სწორედ ამ ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება იყო, რაც ამბიციებისა და პირველობის არდათმობის გამო ვერ მოხერხდა. დღეს კი რეალობა ისაა, რომ 2016 წლის არჩევნებიც მალე მოგვადგება და ამ დროს „მთავარ ოპოზიციურ ძალად“ „ნაცმოძრაობა“ რჩება.

**რას აპირებენ არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიები?**



**ალეკო შალამბერიძე, „თავისუფალი საქართველო“:**

– ხელისუფლების ბრალია, რადგან მას უნდა, მთავარ ოპოზიციურ ძალად ჰყავდეს გაკოტრებული „ნაცმოძრაობა“. ალეკო შალამბერიძეს ვერ ეტყვიან, შენ ის არ იყავი, ცოცხებს რომ უყრიდი ხალხს, ან აწამებდიო? სამაგიეროდ, ეტყვიან დისკრედიტებულ პარტიას და სულ იქნებიან მასთან კინკლაობაში. ამათთან ადვილია კამათი.

**— რატომ არ ერთიანდებით? იქნებ ამბიციები გვერდზე გადადოთ?**

– ჩვენ ყოველთვის ვაპირებდით გაერთიანებას, ჩვენი მხრიდან მზაობა სულ იყო. ჯერ არ ვიცით, სიტუაცია როგორ წარიმართება. რაც შეეხება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას, შევხედავთ და, ალბათ, პროცესებში ჩავერთვებით.

**— ამდენი წელია, პოლიტიკაში ხართ და ამ ხელისუფლების პირობებშიც კი, როცა ამდენი შეცდომა დაუშვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „მთავარ ოპოზიციურად ძალად“ იწოდება. დიდხანს აპირებთ ამის შეგუებას?**

– მეცინება ხოლმე, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ არის ოპოზიცია და ის, ვინც მართლა ოპოზიციაა, სადღაც მეხუთეხარისხოვანია. ასეთ სიტუაციაში ვერ ვგრძნობ თავს კარგად, მაგრამ პოლიტიკა, გარდა ოცნებებისა, არის პრაგმატიზმიც. პრაგმატულად თუ შევხედავთ, ბევრი პრობლემა ჩვენშიცაა, გარდა იმისა, რომ ამომრჩეველსაც მართებს მეტი ფიქრი. ის, რასაც არჩევნების წინ ვამბობდით, რომ მრავალპარტიულობას რაღაცნაირი შეშველება სჭირდება, მთავარ ოპოზიციურ ძალას სახელის გადარქმევა სჭირდება, ეს ვერ შევძელით, მაგრამ დანებებას არ ვაპირებთ. არ გვაქვს დადებითი ემოცია, მაგრამ არც ბრძოლას ვანებებთ თავს.

ყველა გაერთიანებას უნდა ჰქონდეს მიზანი და აქცენტი. როცა არჩევნები ჩავლილია და შორსაა უახლოესი არჩევნები, ახლა ფიქრის დრო გვაქვს. ცალ-ცალკე ყველა პარტია ფიქრობს, მაგრამ ყველა ალიანსი რაღაც კონკრეტულ მოვლენასთან არის ხოლმე დაკავშირებული. რახან შორსაა არჩევნები, ეს ალიანსი არაპრაგმატულად აღიქმება. მე პირადად ვფიქრობ, რომ შემოდგომა საინტერესო სალაპარაკო პერიოდი იქნება ერთმანეთთან, გავაანალიზებთ, რას სჩადის ხელისუფლება. მე ვერ ვიტყვი, მიზანი ისაა, რომ განსაკუთრებული ერთობა შეიქმნება, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, მაგრამ თუ მეტ საერთოს ვიპოვით ერთმანეთში და ნაკლები ამბიცია გვექნება, რამე გამოვა.

**— ვადამდელ არჩევნებზე რას ფიქრობთ? 15 სექტემბრიდან ამ მოთხოვნით გამოსვლები დაიწყება.**

– ყველა კონკრეტიკას შემოდგომა იტყვის. ამ თემაზე გვქონდა პარტიაში საუბარი, სექტემბრის შუა რიცხვებში გვექნება ჩამოყალიბებული პოზიცია და მიმართვასაც გავაკეთებთ. თანამედროვე პოლიტიკურმა განწყობებმა აჩვენა, რომ პარლამენტი არაა გამოხატულება ამომრჩევლის ნების. ზოგადად, არ ვარ მომხრე, რომ ხშირი იყოს ეს რიგგარეშე არჩევნები, მაგრამ დღევანდელი პარლამენტის კონფიგურაცია ამის აუცილებლობას იძლევა. თუკი იქნება ოდნავი ძალისხმევაც კი პარტიების მხრიდან რიგგარეშე არჩევნების მიმართ, ჩვენ უბრალო მონაწილეები კი არა, შემოქმედნი ვიქნებით ამ ინიციატივის. „ახალ მემარჯვენეებს“ არაფრის დაბრუნება, ან სკამის დაკავება არ უნდათ, პოლიტიკის გაჯანსაღებისთვის ვიქნებით მოწოდებული.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16



**გიორგი გუგავა, „ლეიბორისტული პარტია“:**

– არ გამკვირვებია, რომ სრულყოფილი გამოკვლევა არ ჩატარებულა, ჩვენ სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი ყოველთვის. არადა ბოლოდროინდელი იმედგაცრუების ფონზე ყოველდღიურად იმატებს პარტიის რეიტინგი.

**— ყოველთვის ისმოდა კითხვა, რატომ ვერ ახერხებდით გაერთიანებას ოპოზიციური სპექტრი, მაგრამ ახლა, ალბათ, ეს ძნელი არ უნდა იყოს, თუ ამბიციებს გვერდით გადადებთ. რამდენ ხანს უნდა ითმინოთ, რომ „ნაცმოძრაობას“ მთავარ ოპოზიციურ ძალად“ მოიხსენიებენ?**

– გაერთიანება გაერთიანებისთვის არ უნდა მოხდეს. არის საკითხები, რომლის გარშემოც უნდა მოხდეს გაერთიანება, აზრთა შეჯერება მათ შორის, ვინც მართლა ოპოზიციონერია და სურს პოლიტიკური სისტემის შეცვლა და იბრძვის მილიონერთა დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელთაც ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება. ეს ადამიანები საერთო სახალხო ქონების მითვისებით არიან დაკავებული. ვინც ამას ებრძვის და არ არის ხელოვნური ოპოზიციური დეკორაცია, მასთან უნდა გავერთიანდეთ და ვითანამშრომლოთ.

„მთავარი ოპოზიციონერობა“ ხალხს არ განუსაზღვრავს, ეს განსაზღვრა ხელისუფლებამ. მას აწყობს, ასეთი დისკრედიტებული ძალა ჰყავდეს მთავარ ოპოზიციად, მასთან ჰქონდეს მუდმივი ოპონირება და ამით გაიმყაროს ძალაუფლება. ადრე თუ გვიან, როგორც შავი ღრუბლისგან განიწმინდება ცა და გამოანათებს მზე, ასე განიწმინდება ეს პოლიტიკური ველი. ბუნებრივია, კოორდინაცია ჯანსაღ პოლიტიკურ ძალასთან სულ გვექნება. გაერთიანება იქნება არა სკამებისთვის, არამედ საქართველოსთვის. ჩვენ ვემხრობით ვადამდელი არჩევნების იდეას, მაგრამ თავდაპირველად დასახვეწია კოდექსი, თორემ ისევ ისეთი სტილით არჩევნების ჩატარება იგივე შედეგს დადებს. დრაკონული კოდექსის შეცვლა თუ არ მოხდა, ყოველდღე რომ ვატაროთ არჩევნები, მაინც არაფერი შეიცვლება.



**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეები“:**

– არასაპარლამენტო ოპოზიციას „ენდიაიმ“ იგივე პროცენტი დაუწერა, რაც ავიღეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ამიტომ ამ პროცენტით დიდად გაღიზიანებული არ ვარ. არც განსაკუთრებული წყენა არ მაქვს ამ კვლევის მიმართ. წყენა მაქვს სხვა რამეზე, ერთი მხრივ, ჩვენ ვერ გავთვალეთ და გავზომეთ ის სიტუაცია, რაც არჩევნებზე მივიღეთ. საკმაოდ სერიოზული გაყალბების ელემენტები იყო და ასეთ მოკლე დროში საზოგადოების აზრი არ იცვლება ხოლმე. არაა ისე, თითქოს არასაპარლამენტო ოპოზიცია არ იზომება და არ არსებობს. მეორე მხრივ, ეს უკმარისობის გრძნობასთან ერთად აღგვიძრავს მომავალი პასუხისმგებლობისა და ფიქრის განცდას.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გამარტივებული შესყიდვებისა და ტენდერების ჩატარების წესში ცვლილებები შევიდა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცნობით, ცვლილებების მიხედვით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებას წერილობით უთანხმებს საკრებულოს.

გარდა ამისა, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის რეგისტრირებულ მომხმარებლებს ოფიციალური კორესპონდენცია გაუგზავნოს სისტემაში მათი ორგანიზაციის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რაც უნდა დადასტურდეს კორესპონდენციის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შესახებ შედგენილი აქტით.

„ახლებურად მოწესრიგდა შავი სიის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხის გადასაწყვეტად განისაზღვრა 2-თვიანი ვადა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ერთი თვით. შავ სიაში რეგისტრაციის ერთ-ერთ საფუძვლად განისაზღვრა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, ნაცვლად „არასრულად“ შესრულებისა; შემსყიდველ ორგანიზაციას სააგენტოში შეუძლია წარმოადგინოს შეტყობინება პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დასარეგისტრირებლად იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო. შემსყიდველი ორგანიზაცია შავ სიასთან დაკავშირებულ შეტყობინებას აღარ დაურთავს იმ დოკუმენტაციას, რომელიც უკვე ატვირთულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში; შემცირდა გაფრთხილების მიღების ოდენობა, კერძოდ, შავ სიაში დარეგისტრირებამდე პრეტენდენტს/მიმწოდებელს ორი თვის ნაცვლად, შესაძლებელია, მიეცეს მხოლოდ ერთი გაფრთხილება“, – ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რეგიონების რამდენიმე ქუჩასა და სკვერს ახალი სახელწოდება მიენიჭა

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, საქართველოს რეგიონებში მდებარე 50-მდე ქუჩასა და რამდენიმე სკვერს ახალი სახელწოდება მიენიჭა.

მაგალითად, ახალქალაქში მდებარე ფელიქს დერჟინსკის ქუჩას 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული უფროსი სერჟანტის თამაზ მიქელაძის სახელი დაერქვა. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კარდენახში მდებარე სკვერს 2008 წლის ომში დაღუპული გმირების სახელობის სკვერი ეწოდა. ხოლო სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში მდებარე ქუჩას – აფხაზეთის ომში დაღუპული, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი გმირის ლევან ცისკარიშვილის სახელი მიენიჭა.

თვითმმართველი ერთეულების მიერ წარმოდგენილი სხვა წინადადებების ერთ ნაწილს, სახელმწიფო კომისიის მხრიდან დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, ხოლო რამდენიმე ქუჩის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით, უახლოეს სხდომამდე გადაიდო. (ფრონტნიუსი)

## დაპირისპირება სოფო ბედიას თაყვანისმცემელსა და მიშა მესხს შორის – „საკადრისი პასუხი მიიღო“



დაახლოებით ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის პოლიტპატიმარ მიშა მესხისა და მომღერალ სოფო ბედიას სიყვარულის შესახებ გახდა ცნობილი, მაგრამ წყვილზე უკვე ლეგენდები დადის.

ამბობენ, მიშას ძალიან უყვარს სოფო და თავის გრძნობას ყოველდღე უმტკიცებსო. დიდი სიყვარულის ნიშნად ცოტა ხნის წინ მიშამ სოფოს მანქანაც აჩუქა. ამჯერად კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიშა რესტორანში, სადაც სოფო მღერის, ხშირად არის ხოლმე და თაყვანისმცემლებს მასთან ფოტოს გადაღების უფლებას არ აძლევს.

ერთ-ერთი თაყვანისმცემლის სურვილმა, რომ სოფოსთან ფოტო გადაეღო, თურმე, მიშა ისე გააღიზიანა, რომ საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა.

მიშა მესხი:

– ამ ამბავში მხოლოდ ერთი რამ არის მართალი. ერთხელ, რესტორანში, სადაც სოფო მღეროდა, უზრდელურად მოიქცა ერთ-ერთი მსმენელი და საკადრისი პასუხიც მიიღო. მაგრამ ქაჯი არ ვარ, სოფოს თაყვანისმცემელს, ვისაც მასთან ფოტოს გადაღება უნდა, არ ავუკრძალავ. სოფო ცნობილი ადამიანია. არავინ რომ არ იცნობდეს, მე მისი შეყვარებული ვიყო და მასთან სურათის გადაღება ითხოვოს ვინმემ, მაშინ ადეკვატური რეაქცია მექნებოდა, მაგრამ ცნობილი გოგოა, სანამ მე გავიცნობდი, მანამდეც ასე იყო.

სოფოსთან ადამიანები სურათებს იღებდნენ და მომავალშიც გადაიღებენ. ამაში ცუდი არაფერია. იმ ადამიანს კი, ვინც ჩემგან საკადრისი პასუხი მიიღო, სურათის გადაღება კი არ უნდოდა, არაკორექტულად მოიქცა.

*reitingi.ge*

## რატომ ჩაიცვა მუდრომ შეყვარებულის კაბა





გია ცინაძე, იგივე მუდრო, ყოველთვის გამოირჩევა ორიგინალური სტატუსებით „ფეისბუქზე“. ამჯერად „კაზანტიპის“ თემასაც ორიგინალურად გამოეხმაურა.

ქალის სამოსში გამოწყობილი სურათი გამოაქვეყნა და დაწერა, „კაზანტიპი“ არ უნდა ტარდებოდეს საქართველოშიო“. ფესტივალს „კაზანტიპი“ რომ ჰქვია და არა „კაზანტიკი“, სავარაუდოდ, მუდრომ კარგად იცის და ალბათ, ასე მხოლოდ იმიტომ დაწერა, რომ ზოგიერთი, ვინც ფესტივალის ანკლაში ჩატარებას ეწინააღმდეგება, სწორედ ასე გამოთქვამს „კაზანტიპის“ სახელს.

ფოტომ მუდროს მეგობრები გაახალისა. ბევრი წერდა, კაბა თუ ასე გიხდებოდა, არ ვიცოდიო. ზოგიც მუდროს ფეხებმა აღაფრთოვანა. კომენტარებშივე გაირკვა, რომ კაბა მუდროს შეყვარებულს ეკუთვნის.

ნინომ („ფეისბუქზე“ მუდროს შეყვარებულს ნინი მარინიჩ კვანტრე ჰქვია) იმავე კაბაში გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა და დაწერა, „ბიჭი გოგოს ასე ეჯიბრებოდეს, თან შეყვარებულს, არ ვიცი, არ ვიცი“.

*reitingi.ge*

## „თავისუფალი ზონა“ კი არა, თქვენ უნდა გერქვათ „ცუციკოები ზონაზე“



„მამული, ენა, სარწმუნოების“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი სოციალურ ქსელში „თავისუფალი ზონის“ აქტივისტებს მიმართავს.

– „თავისუფალი ზონის“ აქტივისტებს (ყურმოჭრილ მანქურთებს) – რა ღირს თქვენი მომსახურება? რა ტარიფზე მუშაობთ? რა არის თქვენი საათობრივი განაკვეთი? 30? 50? 100? თუ 200 ლარი? უფასო მუშაკები ხომ არ ბრძანდებით შემთხვევით? იქნებ გულანთებული აქტივისტები ხართ, რომლებიც მხოლოდ მაშინ იჩენთ თავს, როდესაც საქმე ეხება უწყინარ რუს ტურისტს, ხოლო რუსი ჯარისკაცის დანახვაზე, მსგავსად თქვენი ლაჩარი პრეზიდენტი სააკაშვილისა, მიწაზე ფორთხავთ!? სად ხართ მაგრები კალათბურთის მატჩზე ფუცკ პუტინ-ის პლაკატით ხელში?! ხელში ავტომატი აიღეთ და ღირსეულად ემსახურეთ საქართველოს, ასე მაგალითად, შექმენით პარტიზანული დაჯგუფება და წინ!!! თუმცა სად გაქვთ თქვენ მაგის ერთი ადგილი? დარწმუნებული ვარ, გაგეპარებათ და დაიწყებთ ყლინჯების მირთმევას სამჯერ დღეში პლუს დესერტად ყოველ ჯერზე! თუმცა თქვენ მაშინ ხართ მაგრები, როდესაც ძია „გივი გევარა“ ერთი-ორ კაპიკს გადმოგიგდებთ და მიგაქსევთ ცოფიანი ძაღლივით ტურისტ დედა-შვილზე, ან ხანდაზმულ ცოლ-ქმარზე... „თავისუფალი ზონა“ კი არა, თქვენ უნდა გერქვათ „ცუციკოები ზონაზე“, – წერს სადღობელაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

## ნიკა გვარამია პოლიტიკაში დაბრუნებაზე დაფიქრდა



„რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელი და ძველი ხელისუფლების ყოფილი წევრი ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში საინტერესო სტატუსს აქვეყნებს.

– აშკარად ახალი პოლიტიკური ძალის მოლოდინშია ერი. არ ვცადოთ? – წერს გვარამია საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე.

პია.გე

ნანკა კალატოზიშვილი: „ძალიან ბევრს მუშაობენ ამ ფესტივალის შავ პიარზე“

მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი მუსიკალური ფესტივალის „კაზანტიპის“ შესახებ „ფეისბუკის“ პირად გვერდზე წერს.

– დღეს ჩამოვიდა კედო „კაზანტიპიდან“ და მივხვდი, რომ ძალიან ბევრს მუშაობენ ამ ფესტივალის შავ პიარზე, რაც სამწუხაროა. ნელ-ნელა იხოდება აშკარად. ასე რომ, მოდუნდით და ჩადით გასართობად. ზღვა, მუსიკა, კარგი ამინდი, სიის გაგრძელებაზე თავად გახურდით. იმედია, ეს ერთი კვირა ყველა კარგად გაერთობა. სამწუხაროდ, მე საერთოდ ვერ ჩავდივარ, მაგრამ სუპერ გართობას გისურვებთ ყველას. იუჰუუუ, – წერს ნანკა კალატოზიშვილი.

*primetimenews.ge*

## მაია დარსმელიძე: „გეორგიევსკის ლენტა ოკუპაციის სიმბოლოა, პუტინი კი, რა თქმა უნდა, ხუილოა“



მუსიკოსი მაია დარსმელიძე სოციალური ქსელის საშუალებით საზოგადოებას მიმართავს.

– ვინც აღშფოთებულია, რომ გეორგიევსკის ლენტს ახსნევინებენ რუს ტურისტებს, ჯერ გაარკვიეთ, რას ნიშნავს ეს ლენტი და მერე აპროტესტეთ. გეორგიევსკის ლენტა ოკუპაციის სიმბოლოა, პუტინი კი, რა თქმა უნდა, ხუილოა, – წერს დარსმელიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*droni.ge*

## ირაკლი ალასანიას ვაჟი ჯარში წაიყვანეს



აღნიშნულის შესახებ თავდაცვის მინისტრის მეუღლე ნათია ფანჯიკიძე სოციალურ ქსელში წერს.

– ყოჩაღი ჯარისკაცი ნიკო. გუშინ ჯარში წაიყვანეს დედას გულფთა. დარდი არ გქონდეს სამშობლოვ, ეს ბიჭიც დაგიცავს ეს ერთი წელი, კაცი პაციფისტი და კაცი ოქრო, – წერს ნათია ფანჯიკიძე.

*pia.ge*

## „იმაზე სერიოზული პროექტი, რასაც რესპუბლიკა „კაზანტიპი“ ჰქვია, საერთოდ ახსოვს საქართველოს???“



როგორც „კაზანტიპის“ რესპუბლიკის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსი ნინო სტურუა აცხადებს, „კაზანტიპს“ ქართველი ვარსკვლავების შეუერთდებიან.

– ახლა ვფიქრობდი უბრალოდ ჩემთვის, 24 საათი რომ იმას წუწუნებენ ქართველები, ყველაზე მოწყენილი ქვეყანა ვართ და არსად გართობა არ არისო... გულით მაინტერესებს, იმაზე სერიოზული პროექტი, რასაც რესპუბლიკა „კაზანტიპი“ ჰქვია, უმაგრესი მუსიკით, უზღვავი ენერგიით, აბსოლუტური პოზიტივით, საერთოდ, ახსოვს საქართველოს??? რაც შეეხება მათ, ვინც ისტერიულად ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ აქ აღვირახსნილობა და გარყვნილებაა, ერის ვიტყვი მხოლოდ, ქობულეთსა და ბათუმში გაცილებით უარესი ხდება, მით უმეტეს ღამე და მით უმეტეს სანაპიროებზე და ეს ყველამ ძალიან კარგად ვიცით... აქ დაცული მაინც ხარ! ამდენი დღეა, აქ ვარ და მართლა ვერ მივხვდი, ვის, ან რატომ აწყობს ამ პროექტის ჩავარდნა??? და ზუსტად მათი გულის გასახეთქად დავამატებ, რომ პროექტი გრძელდება და ყველანი ძალიან ვერთობით! ვერთობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ვარსკვლავებთან ერთად! ამ დღეებში კი ქართველი ვარსკვლავებიც გვიერთდებიან! ია, ასე! – წერს სტურუა.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



კოტეს შეფი ეჩხუბება:

– სამსახურში ყოველდღე ძილი შეიძლება?!

– რა ვქნა, შეფ, ბავშვი მთელი ღამე არ მაძინებს, რა გავაკეთო?

– ხვალიდან სამსახურში ბავშვთან ერთად იარე – ნურც აქ დაგაძინებს!..

*****

– რას ნიშნავს დიპლომატია?

– ეს არის ხელოვნება, რომელიც გვასწავლის, როგორ ჩააფურთხო ადამიანს სულში, რის შემდეგაც მას პირში ტყის კენკრის სასიამოვნო გემო უნდა დარჩეს...

*****

ერთი მამაკაცი მეორეს:

– წარმოგიდგენია? ვაჟი შემეძინა, ბიჭო, ვაჟი! 6 ქალიშვილის შემდეგ, როგორც იქნა, ვაჟი შემეძინა!!!

– მაგარია! და ვის უფრო ჰგავს – შენ თუ შენს ცოლს?

– ეგ არ ვიცი, ჯერ სახეზე არც ერთს არ შეგვიხედავს...

*****

ზოოპარკში:

– დედიკო, მიყიდე რა სპილო, სპილო მიყიდე!

– ჰო, მაგრამ რით გამოვკვებოთ ხოლმე, საყვარელო?

– რას ამბობ, დედიკო, აგერ, რამხელა ასოებით აწერია: „სპილოებისთვის საჭმლის მიცემა სასტიკად აკრძალულია!“

*****



– ალო, მამა, საავადმყოფოდან გირეკავ...

– რა ხდება, შვილო, რა გითხრა ექიმმა? რა წამოგილო, მაწონი თუ ხაჭო?

– არც ერთი და არც მეორე, მამა! ექიმმა მითხრა, ჩემი და მისი მანქანის რეაბილიტაციას 300 დოლარი სჭირდებაო...

*****

ასაკიანი ზვიგენი ახალგაზრდა ზვიგენს ასწავლის, როგორ ინადიროს ადამიანებზე:

– როგორც კი ადამიანს მოჰკრავ თვალს, ზედაპირზე უნდა ახვიდე, რათა მან შენი ზურგის ფარფლი დაინახოს. ამის შემდეგ, სანამ თავს დაესხმები, მსხვერპლს ათჯერ უნდა შემოუარო...

– ათჯერ რატომ, ეგრევე რომ ვეტაკო?

– არა, სანამ ათჯერ შემოუვლი, მსხვერპლი განავლისგან განთავისუფლებასაც მოასწრებს და მერე უფრო გემრიელია!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## 2-დოლარიანი ნაძლევის გამო, ინდუსმა მამაკაცმა შხამიანი გველი გადაყლაპა



„პირობა კაცს ცოლს ართმევსო“, ნათქვამია, მაგრამ პირობასაც გააჩნია და მისი შესრულების პირობებსაც!

როგორც ირკვევა, 35 წლის ზავერ რატხოდმა ნაძლევზე საკუთარი ხელით მოკლული შხამიანი გველი დაღეჭვის გარეშე გადაყლაპა.

თურმე, ნაძლევის დადებამდე ცოტა ხნით ადრე გველმა რატხოდის ნათესავს უკბინა და სამწუხაროდ, საიქიოში გაისტუმრა. მოგვიანებით შხამიანი მცურავი დაიჭირეს და თავი გაუჩეჩქვეს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ტრაგიკულად დაღუპული ახლობელი ეტირათ, მონადირეებმა ერთმანეთში სულელური ნაძლევი დადეს – ზავერ რატხოდმა დაიტრაბახა, გველს დაღეჭვის გარეშე გადავყლაპავო და პირობა მართლაც შეასრულა. არ იყო გასული სულ რამდენიმე წუთი, რომ დაუფიქრებელ ინდუსს გულისრევები დაეწყო და გონებაც დაკარგა.

საბედნიეროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს, რითიც თავადვე ძალიან გაკვირვებული დარჩნენ, რადგან ზავერ რატხოდს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი მცურავი უგემია, რომლის შხამი ფატალურ შედეგს კბენის გარეშე, მის ნერწყვთან შეხებითაც კი იწვევს.

***etotupo.ru***

## ავსტრალიაში სასაფლაოსთან ახლოს... ბორდელების გახსნა აიკრძალება





რადგან აიკრძალება, ეს იმას ნიშნავს, რომ აქამდე სასაფლაოებთან ბორდელებს ხსნიდნენ, თუმცა რა „ვიტამინებია“ ამ უცნაურ არჩევანში, დიდი ხნის ფიქრის მიუხედავად, მაინც ვერაფრით მივხვდით.

ავსტრალიური კვინსლენდის შტატის ადმინისტრაციამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტი უკვე მოამზადა და განსახილველად ცენტრალურ ხელისუფლებას გადაუგზავნა, სადაც ინიციატივას დადებითად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ საროსკიპო და სასაფლაო ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ცნებებია. შესაბამისად, მათი სიახლოვე ყოვლად დაუშვებელია.

აფერუმ, ავსტრალიელების აზროვნებას, ეს რამხელა „მიგნება“ გააკეთეს, ხედავთ, თქვენ?!

შეგახსენებთ, რომ პროსტიტუცია მწვანე კონტინენტზე 1995 წლიდანაა ლეგალიზებული და ის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული „სექტორია“, რომელიც ბიუჯეტს მილიონობით დოლარით ავსებს.

***top.rbc.ru***

## ქერები შავგვრემნებსა და წითურებზე მდიდრები აღმოჩნდნენ



რატომღაც ქერები ყოველთვის ჭკუათხელობასთან ასოცირდებიან და მათ შესახებ ბევრ ანეკდოტსაც ყვებიან, თუმცა რეალურად ისე აღმოჩნდა, რომ ნათელი ფერის თმების მქონე ქალები შავგვრემნებსა და წითურებზე წარმატებულები აღმოჩნდნენ, რაც, პირველ რიგში, მათ ფინანსურ უზრუნველყოფაზეა ასახული.



ბრიტანელების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ცნობილი ხდება, რომ ქერა ქალების ყოველთვიური საშუალო შემოსავალი 1200 ევროა, მაშინ, როცა შავგვრემნები 1120 ევროს შოულობენ, წითურების ფინანსური მდგომარეობა კი 1070 ევროთი უმჯობესდება. ერთი კია, კვლევამ ისიც ცხადყო, რომ ქერები თავიანთ შემოსავალს უფრო ხშირად ხარჯავენ არამიზნობრივად, ვიდრე მათი „მუქი დები“.

ამის მიუხედავად, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ქერები მაინც დიდი წარმატებით უძღვებიან საკუთარ საქმეს, იციან თანხების მოფრთხილება და განსაზღვრული აქვთ, რაზე რა უნდა დახარჯონ, რათა სულ უფულოდ არ დარჩნენ.

ჩვენი აზრით, ფულის ხარჯვაში ქალს ბადალი მაინც არ ჰყავს, რა ფერის თმაც არ უნდა ჰქონდეს. მით უმეტეს, თუკი ფული მისი შრომით არ არის ნაშოვნი.

***factroom.ru***

## მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებული ჩინოვნიკები



მუჰამედ სუჰარტო

თქვენ წარმოიდგინეთ, „ფორბსის“ მიერ შედგენილ რეიტინგში არც ერთი ქართველი ჩინოვნიკი არ არის შეყვანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებობენ კიდევ უფრო მეტად კორუმპირებული, ხელიდან წასული და ღვთის პირიდან გავარდნილი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, როგორ ამოივსონ და გაისქელონ ჯიბეები.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რეიტინგში შესულ ჩინოვნიკებს უფრო მეტი გასაქანი ჰქონდათ, ამდენად, ქართველების „წარუმატებლობამ“ გული არ დაგწყვიტოთ, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ სახელის მოხვეჭას, მაგრამ ამ ეტაპზე პირველობა სხვებს დაუთმეს.

მაშ ასე, გავეცნოთ მსოფლიოს ყველაზე მამაძაღლი კორუმპირებულების ნუსხას, რომლებსაც, როგორც ჩანს, შუბლის ძარღვი კი არ გაუწყდათ, არამედ აუფეთქდათ!..

1. ბოლო ათწლეულების ყველაზე კორუმპირებული თანამდებობის პირი ინდონეზიის მეორე პრეზიდენტი, აწგარდაცვლილი მუჰამედ სუჰარტო აღმოჩნდა, რომელიც ქვეყანას 1967-1998 წლებში მართავდა. სხვადასხვა მონაცემებით, მას 15-დან 35 მილიარდ აშშ დოლარამდე აქვს მიტაცებული, წარმოგიდგენიათ?!



ფერდინანდ მარკოსი

2. ანტირეიტინგის „ვერცხლის მედლის“ მფლობელი ფილიპინების ყოფილი დიქტატორი, ფერდინანდ მარკოსი (აწგარდაცვლილი) გახლავთ, რომლის ანგარიშზეც 5-10 მილიარდი აშშ დოლარი მოდის.

3. „საპატიო სამეულს“ ასრულებს ზაირის ყოფილი პრეზიდენტი მობუტუ სესე სეკო კუკუ ნგვენდუ ვა ზა ბანგა. ამ უცნაური გვარ-სახელის ჩინოვნიკმა უკანონო გზებით, საერთო ჯამში, 5 მილიარდამდე ამერიკული დოლარი ჩაიჯიბა.

4. 2-დან 5 მილიარდამდე დოლარი აქვს მიტაცებული ნიგერიელ პოლიტიკოსს სანი აბაჩს.



მობუტუ სესე

5. ექსპერტების შეფასებით, დაახლოებით 1 მილიარდი აშშ დოლარით გამდიდრებულა ჰააგის ციხეში ინფარქტით გარდაცვლილი სლობოდან მილოშევიჩი.

6. ჰაიტის ყოფილი პრეზიდენტის, ჟან-კლოდ დიუვალეს ანგარიშზე 300-დან 800 მილიონ დოლარამდე დარიცხულა.

7. 600 მილიონ დოლარამდე აქვს დატაცებული პერუს 45-ე პრეზიდენტს ალბერტო ფუჰიმორს, რომელიც ამ დროისთვის ციხეში ზის არა მხოლოდ კორუფციაში მხილებისთვის, არამედ გასული საუკუნის 90-იან წლებში რამდენიმე ათეული ადამიანის მოკვლისთვის.

8. უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პაველ ლაზარენკო, რომელიც ამ დროისთვის ამერიკის ციხეში ფინანსური მაქინაციების გამო ყურყუტებს, უკრაინაში 200 მილიონ დოლარამდე მითვისებისთვის დღემდე ძებნილადაა გამოცხადებული.

9. 100 მილიონი დოლარი მიიტაცა ნიკარაგუას პრეზიდენტმა არნოლდო ალემანმა.

10. ფილიპინების ყოფილ პრეზიდენტს, ჯოზევ ესტრადას კი თანამდებობის დატოვება „სულ რაღაც“ 70-80 მილიონი დოლარის მიტაცების გამო მოუხდა.

***factroom.ru***

## ნიუ-იორკი მანიაკების ქალაქად აღიარეს



ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ქალაქი არცთუ სახარბიელო სტატუსის მფლობელი გახდა – ნიუ-იორკი მანიაკების ცენტრად აღიარეს, სადაც სპეციალისტების შეფასებით, ნამდვილი სექს-დამოკიდებულების ეპიდემიამ იფეთქა და სხვადასხვა მონაცემის თანახმად, ფსიქოლოგიური დაავადებით უკვე 500 ათასამდე ადამიანი იტანჯება. ყველაზე სახიფათო ის არის, რომ სექსომანების ფსიქიკის საბოლოო დეგრადაციის პროგნოზირება შეუძლებელია, პოლიციას კი სერიული მკვლელობების მოლოდინში მხოლოდ ნერვიულობაღა აქვს დარჩენილი.

ფსიქოლოგების განმარტებით, ასეთი მძიმე სიტუაციის ჩამოყალიბების მიზეზი ინტერნეტ-პორნოგრაფიისა და ვირტუალური სექსის ხელმისაწვდომობა და პოპულარიზაციაა, რომელსაც სულ უფრო ბევრი თაყვანისმცემელი უჩნდება თანაც ისე, რომ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ ეჭვიც არავის ებადება.

„ნიუ-იორკ პოსტის“ კორესპონდენტი ერთ-ერთ ანონიმურ კლუბში შეიპარა, რომელიც სექსუალური დამოკიდებულების მქონე ადამიანების განკურნებაზე მუშაობს და რომელიც 6 ათასამდე პაციენტს აერთიანებს.

– ის, რაც კლუბში ხდება, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ადამიანები საკუთარი ემოციებისა და აგრესიის შეკავებას მხოლოდ სპეციალისტების დახმარებით ახერხებენ, თუმცა ცხადია, არსებობენ ისეთებიც, ვინც ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას ბევრი მიზეზის გამო არ თანხმდება, – წერს „ნიუ-იორკ პოსტი“.

***lenta.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




1. მომღერალი ალანის ...
2. თბილისის უბანი
3. იტალიელების გმირი ჯუზეპე ...
4. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
5. ლატვიის დედაქალაქი
6. ბიბლიიდან: სამსონი და ...
7. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
8. საზეიმო წვეულება
9. ხორთუმიანი ცხოველი
10. ლუდის მასალა
11. პოლიტიკოსი ... მანდელა
12. მსახ. ... ბასილაშვილი
13. პოეტების საკრებულო მთა
14. თეთრგვარდიელი გენერალი
15. ... ფიტცჯერალდი
16. ზამთრის თვე
17. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
18. მხ/ფ „ჩვენი ...
19. ლობე
20. რომის პაპის გვირგვინი
21. მუზების მფარველი ღმერთი
22. მსახიობი სიუზენ ...
23. ძვირფასი ქვა
24. მუსიკალური ინსტრუმენტი
25. ... მეფობენ და არა მეფენი
26. მოსევადების ტექნიკა
27. ძვირფასი წითელი ქვა
28. მეტამორფოზის ბოლო სტადია
29. რუმინული ფულის ერთეული
30. უბანი ქალაქ ფოთში
31. მომღერალი ... ნოულსი
32. კომბლეს „იარაღი“
33. ახალგაზრდა კაცი
34. შრეკის სატრფო
35. ნახ. კუნძული საბერძნეთში
36. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
37. ადმირალი ჰორაციო ...
38. უკრემო ნამცხვარი
39. ზღაპარი „ბრემენელი ...
40. ლეონიძე. „ჩირიკი და ...“
41. ქალაქი ქვემო ქართლში
42. წლოვა-ნება
43. მისი დედაქალაქია ტირანა
44. მსახიობი ... დარკი
45. ინდიელების ვარცხნილობა
46. მწერალი ... რობაქიძე
47. ჩარხი
48. ქალაქი იტალიაში
49. ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
50. ... არაბეთს როსტევან
51. „დრაკულა“ ავტორი
52. ყურის ანთება
53. მწერალი ტომას ... რიდი
54. კომპიუტერით ამოსაბეჭდი მოწყობილ.
55. საყანედ გაჩეხილი ტყე
56. სასტუმროს ოთახი
57. ტილ ულენშპიგელი და ... გუძაკი
58. ესტონეთის დედაქალაქი
59. დიამეტრის ნახევარი
60. ცხიმის გამოსახდელი აპარატი
61. იაპონური ჭიდაობა
62. რუსი მეიგავე
63. მწერალი ... ბრაუნი
64. მსახიობი რობერტ დე ...
65. რომაელი იმპერატორი
66. ბალეტში ერთ ფეხზე დგომა
67. ქალაქი შვეიცარიაში
68. დათვის ნაშიერი
69. მსახიობი ტრისტან ...
70. დანა-კარგი
71. ძვ. ქართ. ხალხური საკრავი
72. პავაროტი როგორც მომღერალი
73. ცხრა ძმა ...
74. კომპოზიტორი ... პაულსი
75. მეტროს მოძრავი კიბე
76. მომღერალი ... ბაგრატიონი
77. შინაური ცხოველი
78. მსახიობი ფილიპ ...
79. ახალი ... კარგად გვის
80. წმლების მაღაზია
81. ჭრილობა
82. „აბესალომ და ეთერი“ პერსონაჟი
83. მდინარე საფრანგეთში
84. უალკოჰოლო სასმელების წარმოების ფუძემდებელი ... ლაღიძე
85. კვერცხის თეთრი შიგთავსი
86. 100 კაპიკი
87. მსახიობი რიჩარდ ...
88. მწერალი ... ჭავჭავაძე
89. სასროლეთი
90. მინი-ბოულინ-გი
91. ... კუზანოვი
92. ხელის გულზე მკითხაობა
93. ტრიპტიქი: ნახულის ...
94. ჩანჩქერი აშშ-ში
95. ფიზიკოსი ისააკ ...
96. გერდას მეგობარი ბიჭუნა
97. ლითონის ჩაფხუტი
98. არომატული ნივთიერება
99. მდინარე ორინოკოს ველი
100. ღრმული წყნარ ოკეანეში
101. შეხვედრა, ანუ ...
102. მსახიობი ჯეიმს ...
103. მხატვარი ლუკას ... უმცროსი
104. ბუდისტი მასწავლებელი
105. მხ/ფ „გაიცანით ჯო ...“
106. ძლიერი ქარი
107. სურვილი, ნდომა
108. მიქელანჯელოს ქმნილება
109. ხერხემლის ბოლო ნაწილი
110. ზღვა ატლანტის ოკეანეში
111. სამხედრო წოდება ძველად
112. ათოსი, პორთოსი და ...
113. კენიის დედაქალაქი
114. ისლანდიელი მომღერალი ქალი
115. შენობა. ინახავენ ფულს
116. მწერალი დენი ...
117. ქალაქი უკრაინაში
118. კონად შეკრული თავთავები
119. ცურვის სტილი
120. კაზინოს თანამშრომელი
121. რეჟისორი რობიკო ...
122. მწერალი ტომას მაინ ...
123. ქიმიური ელემენტი
124. „მაუგლი“ პითონი
125. დახურული ეტლი
126. მხ/ფ „ნატვრის ...
127. ჯადოქრობა
128. ვაზის სასხლავი მაკრატელი
129. ... ცეცხლს შუა
130. „წითელი“ პლანეტა
131. ოპერა „აბესალომ და ...“
132. მომღერალი ... ჩარლზი
133. მომღერალი ... ჯაბუა
134. ინდური კაბა
135. ქართ. ანბანის ბოლო ასო
136. პატარა ტანის ძაღლი
137. მტაცებელი ფრინველი
138. ხელოვნური ენა
139. საგალობელი ... მარია

პასუხები: 1. მორისეტი; 2. საბურთალო; 3. გარიბალდი; 4. კოლორადო; 5. რიგა; 6. დალილა; 7. ორანგუტანგი; 8. რაუტი; 9. ტაპირი; 10. ალაო; 11. ნელსონ; 12. ოლეგ; 13. პარნასი; 14. ვრანგელი; 15. ელა; 17. ესე; 18. ეზო; 19. მესერი; 20. ტიარა; 21. აპოლონი; 22. სარანდონი; 23. ამეთვისტო; 24. აკორდეონი; 25. დრონი; 26. ნიელო; 27. ლალი; 28. იმაგო; 29. ლეი; 30. მალთაყვა; 31. ბიონსე; 32. კომბალი; 33. ჯეელი; 34. ფიონა; 35. პელოპონესი; 36. დევი; 37. ნელსონი; 38. ბისკვიტი; 39. ბრემენელი; 40. ჩიკოტელა; 41. ბოლნისი; 42. ასაკი; 43. ალბანეთი; 44. მირეი; 45. იროკეზი; 46. გრიგოლ; 47. ჯარა; 48. ნეაპოლი; 49. დალაი; 50. იყო; 51. სტოკერი; 52. ოტიტი; 53. მაინ; 54. პრინტერი; 55. ახო; 56. ნომერი; 57. ლამე; 58. ტალინი; 59. რადიუსი; 60. სეპარატორი; 61. სუმო; 62. კრილოვი; 69. დენ; 64. ნირო; 65. კალიგულა; 66. არაბესკი; 67. ლოზანა; 68. ბელი; 69. სარალიძე; 70. ზარალი; 71. დიპლიპიტო; 72. ტენორი; 73. ხერხეულიძე; 74. რაიმონდ; 75. ესკალატორი; 76. ლიზა; 77. თხა; 78. ნუარე; 79. ცოცხი; 80. აფთიაქი; 81. იარა; 82. აბიო; 83. რონა; 84. მიტროფანე; 85. ცილა; 86. მანეთი; 87. ბარტონი; 88. ილია; 89. ტირი; 90. კეგლი; 91. ივა; 92. ქირომანტია; 93. კარედი; 94. ნიაგარა; 95. ნიუტონი; 96. კაი; 97. კასკა; 98. ესენცია; 99. ლიანა; 100. მარიანი; 101. რანდევუ; 102. კაანი; 103. კრანახი; 104. გურუ; 105. ბლექი; 106. გრიგალი; 107. ლტოლვა; 108. „პიეტა“; 109. კუდუსუნი; 110. სარგასო; 111. იუნკერი; 112. არამისი; 113. ნაირობი; 114. ბიორკი; 115. ბანკი; 116. დიდრო; 117. ოდესა; 118. ძნა; 119. კროლი; 120. კრუპიე; 121. სტურუა; 122. რიდი; 123. იოდი; 124. კაა; 125. კარეტა; 126. ხე; 127. მაგია; 128. სეკატორი; 129. ორ; 130. მარსი; 131. ეთერი; 132. რეი; 133. მაია; 134. სარი; 135. ჰაე; 136. გოშია; 137. ქორი; 138. იდო; 139. ავე. იკითხება: სერვიზი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## მანანა გაგნიძის (კილაძის) გახსენება



ჩვენო საყვარელო და ძვირფასო მანანა, წელს პირველი წელია, შენს დაბადების დღეს ცრემლიანი თვალებით, უშენოდ რომ ხვდებიან შენი მეუღლე, შვილები, რძლები, შვილიშვილები და ძმა. ჩვენო დიდო ტკივილო, შენ ჩვენთვის დიდი იმედი და სულისჩამდგმელი იყავი. უშენოდ ძალიან გვიჭირს და ვერ ვეგუებით ამას. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული ყველასთვის ძვირფასო ჩვენო მანანიკო.

*შენი ოჯახი.*

## მანანა გაგნიძის (კილაძის) გახსენება

ექვს თვეზე მეტი გავიდა ავადმოსაგონარი 15 თებერვლიდან, როცა ასე მოულოდნელად წახვედი ჩვენგან. წელს, 28 აგვისტოს 76 წელი გისრულდებოდა. როგორ ველოდით ამ დღეს და საერთოდ, აგვისტოს, როცა შენ სოფელში ჩამოდიოდი და შენს საყვარელ მეზობლებს გვათბობდი შენი სიყვარულით. მძიმე და სევდიანი გამოდგა ეს თვე ჩვენთვის უშენოდ. მწუხარება და სევდა სუფევდა შენს არემარეში უშენოდ. შენ მარტო შენს ოჯახსა და შენს ახლობლებს კი არ დააკლდი, შენ დააკლდი ყველას, ვისაც შენთან ერთხელ მაინც უსაუბრია; ყველა სიყვარულითა და სითბოთი გიხსენებს. დღეს, 28 აგვისტოს, ანთებული წმინდა სანთლებით მივაგებთ პატივს შენს ნათელ ხსოვნას იმ აივანზე, სადაც შენ ყოველ საღამოს მოუთმენლად გველოდებოდი.

*შენი კეთილი*
*მეზობლები კორბოულიდან.*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები იუწყებიან დეპარტამენტის პროფესორის, რატი ბურდიაშვილის მამის

**რევაზ ბურდიაშვილის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## სიზმარში ბომბის ნახვის გამო, ყარაულს... დააჯარიმებენ

ეს ტრაგიკომიკური შემთხვევა უკრაინაში, კერძოდ კი ზაპოროჟიეში მოხდა – ადგილობრივი სტადიონის „სლავუტიჩ არენას“ ყარაულმა მილიციას აცნობა, რომ სპორტული დარბაზი დანაღმული იყო, თუმცა ადგილზე მისულმა ძალოვნებმა საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. მოგვიანებით დარაჯმა გაიხსენა, რომ სტადიონის დანაღმვის ფაქტი მან სიზმარში ნახა.

სამწუხაროდ, სამართალდამცველებმა ყარაულის ბოდიშები არ გაითვალისწინეს და მას ჯარიმის სახით 9 ათასი გრივნა, დაახლოებით 1100 აშშ დოლარი გამოუწერეს.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**mainfun.ru**

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**28 აგვისტო:** ქვეყნად ბევრი შეუცვლელი ადამიანია, რაშიც დღეს კიდევ ერთხელ დარწმუნდებით. ასევე, გახსოვდეთ, რომ, რასაც საკუთარი თვალით არ ნახავთ, იმას ბრმად ნუ დაიჯერებთ.

**კურო 22.04-21.05**
**28 აგვისტო:** ბევრი საქმე გექნებათ. ყველაზე მეტ დროს ბოლო ხანებში დაგროვებული საოჯახო საქმეები წაგართმევთ. როგორც ჩანს, დახმარება დაგჭირდებათ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**28 აგვისტო:** შეეცადეთ, დღეს უანგაროდ და კეთილი სურვილებით არაფერი გააკეთოთ. ნებისმიერი თქვენი ასეთი ქმედება კატასტროფული შეცდომა აღმოჩნდება და შედეგები სანანებელი გაგიხდებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**28 აგვისტო:** რატომღაც, რეაქცია საკმაოდ დაქვეითებული გექნებათ. მასთან გამკლავება და ბრძოლა არა მხოლოდ რთული იქნება, არამედ უაზრობაც. ასე რომ, არც სცადოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**28 აგვისტო:** რატომღაც, გარშემომყოფნი თქვენი ნებისმიერი წამოწყების წინააღმდეგნი იქნებიან. ყურადღება არავის მიაქციოთ, გააკეთეთ თქვენი საქმე.

**ქალწული 23.08-22.09**
**28 აგვისტო:** დიდი ალბათობით, გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო, გეგმების შეცვლა მოგიწევთ და იმ საქმის კეთება, რომელშიც კარგად ვერ ერკვევით.

**სასწორი 23.09-22.10**
**28 აგვისტო:** დღეს ბევრ ადამიანს მისცემთ სასარგებლო რჩევას და სწორ გზაზე დააყენებთ. შეეცადეთ, თავად არც ერთ საქმეში არ ჩაერთოთ, რჩევებით შემოიფარგლეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**28 აგვისტო:** რაღაცა ისეთის გაკეთება მოგიწევთ, რაც ადრე არასოდეს გაგიკეთებიათ. ეს ბევრ ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, აზრიანი დღე გექნებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**28 აგვისტო:** დღეს თქვენი რესურსები საკმაოდ შეზღუდული იქნება, ამიტომ მათი ხარჯვა წინდახედულად მოგიწევთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**28 აგვისტო:** შეეცადეთ, გაიაზროთ და გაითვალისწინოთ ის შეცდომები, რომლებიც თქვენი გრძნობების გამო დაუშვით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ წვრილმანებს, რომლებზეც, ერთი შეხედვით, დროის დახარჯვა არ ღირს.

**მერწყული 20.01-18.02**
**28 აგვისტო:** გარშემომყოფ ადამიანებს ცოტა მეტი ყურადღება დაუთმეთ. ბევრ ახალსა და საინტერესოს გაიგებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**28 აგვისტო:** დროზე შეჩერდით სანამ რაიმე ზღვარს გადალახავთ. შესაძლოა, უდიერად ეპყრობით იმას, რაც გაქვთ. ფრთხილად, სანანებლად არ გაიხადოთ საქმე.

## იაპონელებმა „საჭანჭყარო“ ელემენტები შექმნეს




დარწმუნებულები ვართ, ერთხელ მაინც გექნებათ დაღეჭილი ელემენტები, აბა, კედლის საათი ან ტელევიზორის პულტი ხომ უნდა მუშაობდეს, არა? ცხადია, ეს პროცესი არც ისე სასიამოვნოა და თუ გსურთ, რომ მომავალში აღარც კბილები დაიმტვრიოთ და პირშიც უცნაური გემო აღარასოდეს დაგრჩეთ, ელემენტები უნდა აჭანჭყაროთ, აქანაოთ, ახტუნაოთ და მოკლედ, რაც გინდათ, ის დაარქვით.

როგორც ირკვევა, ახალი ყაიდის ელემენტი იაპონური კომპანია „ბროზერ ინდუსტრის“ სპეციალისტებმა შექმნეს, რომელიც სხვადასხვა ხელსაწყოს მუშაობისთვის საჭირო ენერგიას ვიბრაციის დახმარებით აგროვებს.

უფრო რომ დავაზუსტოთ, პულტში, საათში ან ფარანში ჩადებისას საჭიროა ელემენტის მხოლოდ გვარიანად შეჭანჭყარება და დაგროვილი ენერგია რამდენიმედღიან უწყვეტ მუშაობას უზრუნველყოფს.

ამ ახალ გამოგონებას იაპონელები თავიანთ სამშობლოში მომდევნო დღეებში წარადგენენ და იმედი აქვთ, რომ დიდ გამოხმაურებასაც მოიპოვებენ. მით უმეტეს, რომ ელემენტი არცთუ ძვირი ეღირება.

დასასრულს იმასაც შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ამომავალი მზის ქვეყანაში ასევე შექმნეს ელემენტები, რომელიც შიგთავსში ნატურალური წვენის დამატებით მუშაობს.

**lenta.ru**

## მეცნიერებმა აუტიზმის ამოცნობა ბავშვის ხმის მიხედვით ისწავლეს



ამ შემთხვევაში მორიგი მიღწევა აუტიზმთან დაკავშირებით ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით, რომელიც თავის თავში ახალ პროგრამულ უზრუნველყოფას გულისხმობს და საშუალებას იძლევა, დაავადების აღმოჩენა მის საწყის სტადიაზევე მოხერხდეს.

ამერიკელი სპეციალისტების განმარტებით, მათი ახალი მეთოდი აუტიზმის ნიშნებს ბავშვს დაბადებიდან უკვე მე-18 თვეზე დაუდგენს და არა 6 წლის ასაკში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. პროგრამის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის დაავადების აღმოჩენას ბავშვის მეტყველების შესწავლის შედეგად ახერხებს. კერძოდ, პროგრამა ერთმანეთისგან ასხვავებს ნორმალურად და დარღვევებით განვითარებულ მეტყველებას, რაც ექიმებს საჭირო მკურნალობის დანიშვნის საშუალებას მისცემს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის გამოცდები უკვე წარმატებით დასრულდა. მისი დახმარებით შემოწმდა 232 ბავშვი, რომელთაგან რამდენიმეს, სამწუხაროდ, აუტიზმი მართლა დაუდგინდა. პროგრამა ბავშვის ხმას 12 პარამეტრის მიხედვით აანალიზებს. პირველ ეტაპზე ის პაციენტის ასაკს ადგენს, შემდეგ უკვე დაავადების ძიებაზეც გადადის და როგორც ამბობენ, მცდარი პასუხის ალბათობა მხოლოდ 14 პროცენტია.

– მართალია, აუტიზმის მკურნალობა ძალიან რთული საქმეა, მაგრამ მისი ადრეულ პერიოდში აღმოჩენა წარმატების იმედებს მაინც ბადებს, – განმარტავენ სპეციალისტები.

**myjane.ru**

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



გურულმა ზანგი პირველად ნახა:
– ვინ ხარ, ძამია, შენ?!
– ლეონარდო დი კაპრიო ვარ, – გაეხუმრა ზანგი.
გურულმა ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და სადღაც დარეკა:
– ალო, აფრასიონა, თუ გახსოვს შენ, ტიტანიკი ჩეიძირა თუ დეიწვა?

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
» 211359457
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.50